ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი — შაბათი 27 ივლისი 2002 №139 (1661) — ფასი 50 თეთრი


# საქართველოს ფორმა და შინაარსი



## დიდუბე-ჩუღურეთის სამართალი თუ ციურიხ-ნიონის რისხვა

## იოზეფ ბლატერი ნუნუ კვანტალიანის წინააღმდეგ

## ჟორდანია პეტრიაშვილს ცაიტნოტს უმზადებს





რა მოვუხერხოთ ამ ქართველებს?
ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს და უეფას გენერალურ მდივან გერჰარდ აიგნერს ჟორდანია – პეტრიაშვილის დაპირისპირებამ საქმე გაუჩინა

მთავარია შინაარსი, მაგრამ ფორმაც საჭიროა და საქართველოს ეროვნულმა გუნდმა გაახლებული „ალჭურვილობა" მიიღო. ძველმა პარტნიორმა, ფირმა „ლოტომ" გამოჭრა და გამოკერა ჩვენებისთვის ყველა ის სამოსელი, რომლითაც ქართველები ევროპის ჩემპიონატის მორიგ ციკლში გარე სამყაროს დაენახვებიან.

პრეზენტაცია სპორტის დეპარტამენტში მოეწყო და კმაყოფილი დატოვა ნაკრების მწვრთნელი, ალექსანდრე ჩივაძე, რომელმაც თავისი რაზმის სწორად შედგენისთვის ფრაიბურგი და ვლადიკავკაზი მოიარა. იქ მოთამაშე ქართველმა ლეგიონერებმა ჩივაძეს გაორებული გრძნობები მოჰგვარეს, თუმცა გუშინდელ პრესკონფერენციაზე მოძლვარს ოპტიმიზმი ეტყობოდა, თან უეფას საგანგებო პრიზიც ხომ ელის?... ჯილდოს ჩივაძე თბილისში, თვით ლენარტ იუჰანსონისგან მიიღებს 19 აგვისტოს და ორ დღეში ნაკრებს პირველად გამოსცდის თურქთა წინააღმდეგ: დელიბაშები სტამბოლში გველიან, ბრძოლა იქნება...

ჩვენში კი ამ დროს სხვა ბრძოლა მიდის, ბურთი არაფერ შუაშია...

23 ივლისს დავით პეტრიაშვილმა მერაბ ჟორდანიას სასამართლო მოუგო და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე მოქმედ პრეზიდენტს ვეტერანთა საჭირო ხმები ჩამოაჭრა, ხოლო გუშინ სასამართლო განჩინების დაუყოვნებლივ აღსრულება მოითხოვა, რადგან ფედერაციას 23 ივლისის განაჩენზე ჯერ ყურიც არ შეუბერტყავს. ჩვენ მარტო ფიფას „ზაკონი" ვიცითო, არხეინად ამტკიცებს ოფიციოზი და აი, მთავარიც: როცა მოსამართლე ნუნუ კვანტალიანი პეტრიაშვილის მეორე სარჩელსაც დადებით ბეჭედს ურტყამდა, ფეხბურთის ფედერაციიდან ფიფასა და უეფაში უკვე მიფრინავდა საჩივრის ფაქსი, ზომით ბარე ორი თაბახი. ნოდარ ახალკაცის დროება ხომ არ გაგახსენდათ? პარალელურად, ვეტერანებმაც აფრინეს აპელაცია 23 ივლისის სასამართლო გადაწყვეტილებაზე და ფედერაცია კი გუშინდელ განჩინებას?? გაასაჩივრებს.

საერთოდ კი, იურისტებიც ვერ ხსნიან სასამართლოს ვერდიქტის აღსრულების მექანიზმს. მივა ვინმე ფედერაციაში და ვეტერანთა მანდატებს დახევს, თუ სხვა რამ ქმედებებს უნდა ველოდოთ?..

ჯერ ვნახოთ, ფიფა რას გვიპასუხებს...

იხილეთ მეორე გვერდი

# დიდი მანევრები

## მერაბ ჟორდანიამ კარტები გახსნა: ბლატერს შესჩივლა და არჩევნები გაალო

**ფეხბურთის ფედერაციასა** და ფედერაციის პრეზიდენტობის მოსურნე დავით პეტრიაშვილის ბანაკს შორის დაპირისპირება ნელ-ნელა მძაფრდება.

გუშინ დიდუბე-ჩუღურეთის მოსამართლე ნუნუ კვანტალიანმა სასამართლოს 23 ივლისის გადაწყვეტილება, რომელიც ფედერაციის ყრილობისთვის მანდატების განაწილებას ეხებოდა, დაუყოვნებლივ აღსრულებას დაუქვემდებარა.

გუშინვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფიფაში, პრეზიდენტ ზეპ ბლატერის სახელზე გაგზავნა ორგვერდიანი წერილი, სადაც ფედერაციისა და დავით პეტრიაშვილის გუნდის ბოლოდროინდელ დაპირისპირებაზე, ყრილობისწინა სამზადისის პერიოდში სამოქალაქო სასამართლოს ჩარევასა და სხვა შინაურ ამბებზეა მოთხრობილი. მეტი ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, თუმც ტვინის საჭყლეტიც, აბა, რა უნდა იყოს — ფედერცია ფიფას, ალბათ, წინასაარჩევნო კამპანიაში თანადგომას სთხოვს.

– მოსამართლე ნუნუ კვანტალიანმა თავის კაბინეტში შეკრებილ კოლეგებთან 10-15 წუთიანი თათბირის შემდეგ, როგორც ვთქვით, თავისივე გადაწყვეტილების — ყრილობისთვის ვეტერან ფეხბურთელთა ოთხი, აღმასკომის წევრების თოთხმეტი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მანდატების გაუქმება და ბავშვთა ფეხბურთისთვის სამი ხმის აღდგენა — დაუყოვნებლივ აღსრულება დაადგინა. „სააღსრულებლო შეტყობინებას ფეხბურთის ფედერაცია ორშაბათს მიიღებს" — თქვა მოსამართლემ, რასაც ფედერაციის სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარის არჩევან ლომიძის აღშფოთება მოჰყვა: „ამ საქმეს ფედერაციის მხრიდან გაგრძელება ექნება. ასე სწრაფად როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება? ქართული ფეხბურთი ცუდ დღეში აღმოჩნდება". დავით პეტრიაშვილის ადვოკატი დავით ებრალიძე და კანდიდატის სხვა წარმომადგენლები კი კვანტალიანს მშვიდად უსმენდნენ და, რა თქმა უნდა, კმაყოფილები დარჩნენ.

მოპასუხე მხარეს, ესე იგი, ფეხბურთის ფედერაციას, გასასაჩივრებლად 12 დღის ვადა მიეცა, რასაც, არჩევან ლომიძის თქმით, ფედერაცია გამოიყენებს კიდეც. თუმც იმავე სასამართლოს მაგიდაზე ერთი სააპელაციო ფურცელი უკვე დევს, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა 23 ივლისის სასამართლო გადაწყვეტილება დაიწუნა და ყრილობისთვის მანდატების აღდგენა მოითხოვა.

იქამდე კი, ვიდრე მოსამართლე თავის დადგენილებას კითხულობდა, ფეხბურთის ფედერაციაში თურმე ფიფას პრეზიდენტის სახელზე გასაგზავნ ზემოხსენებულ წერილს თხზავდნენ და, როგორც იქვე გვითხრეს, მათ წინასწარვე სცოდნიათ, კვანტალიანი პეტრიაშვილის მეორე სარჩელსაც რომ დააკმაყოფილებდა.

— ჩვენ არ ვიცით, სასამართლოს გადაწყვეტილება როგორ უნდა აღვასრულოთ, თუმც ფიფასა და უეფას ბევრად უფრო მკაცრი სანქციების დაკისრება შეუძლიათ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვემორჩილებით საქართველოს კანონმდებლობას, კარგად ვიცნობთ ჩვენი ფედერაციისა და ფიფა-უეფას წესდებებს და სწორედ აქედან გამომდინარე ვამბობთ, რომ აღმასკომის დადგენილება არ უნდა გაუქმებულიყო — ამბობს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია — ფედერაციამ ყველაფერი იღონა, ვცდილობდით, სასამართლოსთვის მიგვენიშნებინა, რომ ჩვენს საქმეში არ ჩარეულიყო, მაგრამ თემიდამ სხვა ბერკეტები გამოიყენა და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო.

**— რა ბერკეტებს გულისხმობთ?**

— ყველა მიხვდება, რასაც ვგულისხმობ.

**— ფედერაციის აღმასკომის სხდომა 31 ივლისს გაიმართება?**

— არა, 31-ში არ გაიმართება, თუმც ყრილობამდე ერთ სხდომას მაინც ჩავატარებთ. თარიღი ჯერჯერობით უცნობია. 31 ივლისს აღმასკომის შეკრება თბილისის ფეხბურთის ფედერაციის, ზესტაფონის „მარგვეთისა" და თბილისის „დინამოს" საქმის გამო გვქონდა დაგეგმილი. ისინი სამაგალითოდ უნდა დაგვესაჯა და ჩვენს სიმართლესა და პრინციპულობაში ხალხი დაგვერწმუნებინა, მაგრამ მათ 10-10 ათასი ჩვენს სასარგებლოდ უკვე გადაიხადეს და აღმასკომის მოწვევა საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ.

**— აღმასკომის სხდომის მიახლოებით თარიღსაც ვერ გვეტყვით?**

— ვერ გეტყვით.

**— ვერც იმ საკითხებს ჩამოგვითვლით, რომლებსაც ყრილობამდე აღმასკომზე განიხილავთ?**

— ის ვიცი, რომ აღმასკომის მომავალი შეკრების დღის წესრიგში ორი საკითხი აუცილებლად იქნება. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, აღმასკომისგან მოვითხოვ, მხარი დაგვიჭიროს, რათა ყრილობა ღია კენჭისყრით ჩატარდეს. არ ველოდი, წინასაარჩევნო კამპანია ასე ბინძურად თუ წარიმართებოდა. ღია კენჭისყრისას კი ყველა კითხვა მოიხსნება და გამოჩნდება, ვინ ვინ არის. მეორე კი თბილისის „დინამოს" საქმე იქნება. ჯონი გიგანსა და უმაღლეს ლიგაში მოთამაშე „დინამოზე" ვიმსჯელებთ. უნდა გავარკვიოთ, რომელ „დინამოს" ეკუთვნის უმაღლესში ადგილი. ქონებრივ დავაში ჩვენ არ ვერევით, არც უფლება გვაქვს.

**— სასამართლოს დღევანდელი დადგენილების შემდეგ შეგიძლიათ, თქვათ, რომ ყრილობა არ გადაიდება?**

— არ გადაიდება, თუ- დღეს ვესაუბრე ფიფას პრეზიდენტის მრჩეველს აღმოსავლეთ ევროპასა და ესენგეს ქვეყნებში, მოვახსენე არსებული ვითარების შესახებ და მისგან პასუხად მივიღე, რომ ზეპ ბლატერისათვის ყოველივე დაუყოვნებლივ მეცნობებინა. ფიფაში წერილი უკვე გაგზავნილია და ვნახოთ, რას გვეტყვიან. შესაძლოა, მათ მოგვთხოვონ ყრილობის იქამდე გადადება, ვიდრე ფიფას წარმომადგენლები თბილისში არ ჩამოვლენ და საქმეში თავად არ გაერკვევიან...

ჩვენთვის გაუგებარი დარჩა, გუშინ დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ როგორ უნდა აღსრულდეს. ჩვენთვის კი არა, ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი იურისტებმაც ვერ მოგვცეს, სასამართლო აღსრულების მექანიზმი მოსამართლეს უნდა განემარტა, ასე გვითხრეს.

ახლა ცოტაც აღმასკომზე: იმ გადაწყვეტილებას, რომელიც აღმასკომს სასამართლომ დავით პეტრიაშვილის სარჩელის საფუძველზე გაუუქმა, ალბათ, თავად აღმასკომიც გააუქმებს და ამით სასამართლოს დაემორჩილება. თუმც იქამდე ეგებ ფიფას პასუხიც ჩამოვიდეს და რა როგორ იქნება, ძნელი სავარაუდოა. რაკი ვარაუდი ვახსენეთ, ბარემ ვთქვათ, რომ სულაც არაა გამორიცხული, ფედერაციამ ასეთ ხერხს მიმართოს — აღმასკომის სხდომა ყრილობამდე ერთი დღით ადრე, 23 აგვისტოს მოიწვიოს და გვიან საღამომდე გააგრძელოს. მიზეზი ერთი შეხედვით მარტივი ჩანს — აღმასკომი სასამართლოს გადაწყვეტილებას დააკმაყოფილებს და მაშინვე სხვა დადგენილებას გამოიტანს, მანდატებს სხვაგვარად გაანაწილებს. ოღონდ ისე, ვეტერანებს ნაწყენს რომ არ დატოვებს, პეტრიაშვილსა და მის გუნდს კი ხელახალი სარჩელისთვის დრო აღარ დარჩება, 24-ში ხომ ყრილობაა დანიშნული.

ნუ მიაფუჩეჩებს დავით პეტრიაშვილი და მისი გუნდი ასეთ შესაძლო ვარიანტს, ნურც მერაბ ჟორდანია და კომპანია დამშვიდდება. გადამწყვეტი ბრძოლა ხომ ახლა იწყება.

**ქობა ინასარიძე**



ყაზახთა მეკარე ვიდიმ პანოვს ქართველებმა გოლი არ მოაკლეს

## ქართველებმა ყაზახური სამი მილიონი დაახურდავეს

**გუშინ** სპორტის სასახლეში მინიფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი დაიწყო.

საქართველოს ნაკრების გარდა ამ სამდღიან და სამწრიან შეჯიბრში აზერბაიჯანის ნაკრები, მოსკოვის „სპარტაკი" და ყაზახეთის „კაზტრანსოილი" მონაწილეობენ.

საქართველოს ნაკრებმა, რომელშიც სპარტაკელი ლეგიონერები ბესო ზოიძე და ანდრო მიზანდარი თამაშობენ, 6:1 მოუგო „კაზტრანსოილს". სხვათა შორის, მიზანდარი ახალი კლუბის ძიებაშია, ოღონდ ჯერ ისევ სპარტაკელია.

ქართველებმა პირველ ტაიმშივე მოუმთავრეს საქმე ყაზახებს, რომელთა წლიური ბიუჯეტი 3 მილიონი ამერიკული დოლარია. განსაკუთრებით გამოირჩა ბესო ზოიძე-გოგა ზოიძე-მიზანდარი-ძაბირაძის ოთხეული. 6 გოლიდან 4 ამათ ანგარიშზეა.

მანამდე „სპარტაკმა" აზერბაიჯანის ნაკრებს მძიმე ბრძოლა 5:3 მოუგო და ქართველებთან ერთად სამი ქულა მიითვალა.

**ბაჩო სვანიძე**


**იყიდება სასწრაფოდ!**



შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი",

ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით. ფასი შეთანხმებით

**ტელ: 22-23-15**


### გერმანია

| ჩრდილოეთ რეგიონალლიგა I ტური | სამხრეთ რეგიონალლიგა I ტური |
| --- | --- |
| პადერბორნი 6:2 ჰამბურგი (მ) | ფრაიბურგი 5:0 ნოინკირხენი |
| ბაბელსბერგი 1:1 ესენი | ელვერსბერგი 0:0 ჰოფენჰაიმი |

### შვეიცარია

B ჯგუფი. V ტური

ვოლენი 1:2 ლოზანა

### შვედეთი

თასის მეოთხედფინალი

ელფსბორგი 1:1 დ.დ. (4:3 პენ) გიოტებორგი

### 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი

B ჯგუფი. III ტური

ირლანდია 3:2 ინგლისი

გერმანია 2:1 ბელგია

## ბათუმი ძველს იბრუნებს და ახლის იმედი აქვს

**ერთ დროს** ამბიციური და შემძლე „ბათუმი" კვლავაც სასიამოვნო ამბის მოლოდინშია. ზღვისპირელთა უმთავრესი პრობლემა ფინანსების უქონლობაა, რამაც კლუბს უკვე რეალურად დაატყო ხელი — სეზონისწინა პერიოდში „ბათუმი" რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, ამის გარდა ასლან ბალაძის გუნდს საწვრთნელი შეკრებაც არ გაუვლია.

ამის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ „ბათუმში" მართლაც რთული ვითარებაა, თუმც ზღვისპირელთა თავკაცი იმედს მაინც არ კარგავს:

— მართალია, რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დაგვტოვა, ძირითადი ბირთვის შენარჩუნება ასე თუ ისე მაინც მოვახერხეთ. ახლა მთავარია, დაფინანსების საკითხი მოგვარდეს. უამისოდ წინასწარ ვერაფერს დავგეგმავთ, ისე, აქცენტს უფრო ახალგაზრდებზე გავაკეთებთ.

ამის მიუხედავად, ასლან ბალაძეს გუნდის გასაძლიერებლად რამდენიმე ფეხბურთელიც შეუგულებია. ყველაზე რეალური ავთანდილ ღლონტის დამატება ჩანს. იგი საქართველოს მეორე ეროვნული ჩემპიონატიდან „ბათუმის" ერთ-ერთი ლიდერი იყო, 1993-94 წლების სეზონი ქობულეთის „შუქურაში" გაატარა, ბოლოს კი ბულგარეთში თამაშობდა. ახლა 28 წლის ნახევარმცველი ბათუმშია და მშობლიურ კლუბში დაბრუნებასაც აპირებს. გადაწყდა გუნდში მცველ ვახტანგ თურმანიძის დარჩენაც. ის თითქოს მეთოთხმეტე ეროვნულში სხვა კლუბის მაისურის მორგებას გეგმავდა, თუმც საბოლოოდ ზღვისპირულ კლუბში დარჩენა ამჯობინა.

— შეიძლება ითქვას, სხვამხრივ ნორმალური ვითარებაა. ბიჭები ვარჯიშობენ და ახალი სეზონისთვის ემზადებიან. დროც ბევრი არ დარჩა. ასე რომ, ყველა კითხვას პასუხი მალე გაეცემა. შეიძლება ისეც მოხდეს, რამდენიმე ფეხბურთელი პირველი ტურის წინ დავიმატოთ — გვითხრა გუშინ ასლან ბალაძემ.

რაც შეეხება ამხანაგურ მატჩებს, ბათუმელებს უკვე შეუგულებიათ მეტოქეები და ამ დღეებში „მერანს" და „ქობულეთს" გაეჯიბრებიან.

**კახა შალამბერიძე**

## აფრინდა, აფრინდა, ტორპედო აფრინდა

**საქართველოს ჩემპიონი** ქუთაისის „ტორპედო" 24-საათიანი ლოდინის შემდეგ ტორსჰაგენიდან გუშინ დილით აფრინდა და კოპენჰაგენის გავლით ნაშუადღევს პრაღაში ჩაფრინდა. მოგეხსენებათ, „ტორპედო" ფარერებს ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩისთვის სტუმრობდა და „B36 ტორსჰაგენი" 1:0 დაამარცხა. ჩვენებურები კუნძულებიდან ხუთშაბათს უნდა გაფრენილიყვნენ, მაგრამ კოკისპირული წვიმისა და ქარბუქის გამო ფარერების ცაში ფრენა შეჩერებული იყო. გუშინ კი შევიტყვეთ, რომ საქართველოს ჩემპიონები პრაღას მშვიდობიანად ჩასულან, ქალაქის გარეუბანში მდებარე სპორტულ ცენტრში დაბინავებულან და უვარჯიშიათ კიდეც.

„ტორპედოს" 31 ივლისს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი პრაღის „სპარტასთან" ელის. გუნდში დღესდღეობით ყველა ჯანმრთელადაა და ჩეხთა ჩემპიონებთან თამაშამდე იმედიანად არიან.

**ქობა ინასარიძე**



გუშინ სპორტის დეპარტამენტში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების ფორმის პრეზენტაცია მოაწყო. ცერემონიალმა, რომელსაც ეროვნული გუნდის თავკაცი ალექსანდრე ჩივაძეც დაესწრო, უხმაუროდ ჩაიარა, ხუთიოდე წუთს გასტანა და მალე სახელდახელო პრესკონფერენციაში გადაიზარდა

# ფედერაციამ ლოტო გაშალა

## ჩივაძე ნაკრების გარეგნული ფორმით კმაყოფილია

„ლოტოს" ტრუს-მაისურებს, სპორტულ პიჟამებს, ბურთებს და ბუც-კედებს არაფერი დაეწუნებოდა. ნაკრები ზარისხიანად არის შემოსილი და თუკი ფორმის დარი ხარისხი თამაშშიც გამოურია, იქნებ რამე ეშველოს ევროშესარჩევში.

ფორმას მხოლოდ ლოგო აკლია და, ამ პრობლემასაც რამდენიმე დღეში გადავწყვეტთო, თქვა სფფ-ის გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ. მისივე თქმით, ფედერაცია ლოგოს სამ-ოთხ ვარიანტს განიხილავს და ამათგან ერთს აარჩევს.

პრეზენტაცია პრესკონფერენციის შემდეგაც გაგრძელდა: სტუმარ-მასპინძელი ასაშლელად ემზადებოდა, სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტის წარმომადგენელი ბადრი ქარქაშაძე ნაკრების ფორმაში გამოწყობილ ახალგაზრდა ფეხბურთელებს რომ შემოუძღვა.

პრესკონფერენციაზე კი ძირითადად ალექსანდრე ჩივაძემ ილაპარაკა. ჩოლარიამ მოკლედ მოჭრა, ნაკრებზე ვისაუბროთ, არჩევნებთან დაკავშირებით კომენტარს ფედერაციის პრეზიდენტი გააკეთებს მოგვიანებითო და იქვე ისიც დასძინა, ჟორდანიას საარჩევნო პროგრამა გამზადებული აქვს და უახლოეს დღეებში გაგაცნობთო.

***ალექსანდრე ჩივაძე:*** კარგი ფორმა ჩამოგვივიდა, თანაც რამდენიმე კომპლექტი და ამ მხრივ მთლიანად უზრუნველყოფილნი ვართ.

ახლოვდება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყების დღე, უფრო ახლოსაა ამხანაგური მატჩი თურქეთთან და სამზადისს ამთავითვე ვიწყებთ. ამიტომაც ვიყავი ჯერ ფრაიბურგში და შემდეგ ვლადიკავკაზში ნაკრების კანდიდატთა მოსანახულებლად. ფრაიბურგში ჩასვლა უფრო ღირებული იყო, რადგან „გერმანელ" ქართველებთან ერთად იმ დინამოელებსაც დავაკვირდი, სამომავლოდ სანაკრებოდ რომ გამოგვადგებიან. იაშვილს კუნთი ჰქონდა დაჭიმული, უკვე დაიწყო ვარჯიში და არ გაუჭირდება სათამაშო ფორმის აღდგენა. კობიაშვილთან სერიოზული საუბარი მქონდა. ლევანი ფსიქოლოგიურად ცოტა გატეხილია და ეს არც არის გასაკვირი. რამდენი ხანია, ლაპარაკია მის ხან „კაიზერში", ხან „ლევერკუზენში" გადასვლაზე და ბიჭი ისევ ფრაიბურგელი, თანაც მეორე ბუნდესლიგელია. მგონი, დავარწმუნე კობიაშვილი, რომ მისი ტრანსფერი დროის ამბავია და გული არ უნდა გაიტეხოს. ლევანს ფინკეც ესაუბრა და იმედი მაქვს, სანაკრებოდ ეს ფეხბურთელი ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული იქნება.

ფინკესთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. მისი მხრიდან დიდებული ჟესტი იყო, ნაკრების მომზადება ფრაიბურგში რომ შემოგვთავაზა, მაგრამ თავაზიანი უარი ვუთხარი, რადგან სასტუმროში შეკრებას განმარტოებით ყოფნა სჯობს საფუძვლიანი მომზადებისთვის. ამის საშუალება კი შტუტგარტთან ახლოს, დაბა რუიტში გვექნება. ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე. იქ მართლაც ჩინებული პირობებია.

ვლადიკავკაზში ჩემმა ჩასვლამ ბ გაახარა მასპინძლები, თქვენს დანახვაზე ქართველები თავს გაიგიჟებენო. ასეც მოხდა. დემეტრაძეც და აშვეთიაც საუკეთესოები იყვნენ მოედანზე და მათი წყალობით შეძლო „ალანიამ" „ზენიტის" დამარცხება. ორივე ფეხბურთელი „ალანიას" დონეზე კარგ ფორმაშია, მაგრამ სულ სხვა დონე და მოთხოვნებია საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. ამიტომ დემეტრაძეს და აშვეთიას დამატებითი მომზადება ვთხოვე და ინდივიდუალური პროგრამაც დავუტოვე.

ძალიან საწყენია, რომ უგუნდოდაა ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გოჩა ჯამარაული, იგივე შეიძლება ითქვას მიხეილ ყაველაშვილზეც. მათთვის სათამაშო პრაქტიკა აუცილებელია და იმედია, მალე თავიანთ გზას ნახავენ.

სათურქეთოდ 30-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა გვყავს. ამათგან საუკეთესოებს ავარჩევთ და ისინი ითამაშებენ შვეიცარიასთან. უეფას გადასაწყვეტია, როდის გაიმართება მატჩი. ჩვენ ჩვენსაზე ვდგავართ — 7 სექტემბერს გვსურს თამაში, შვეიცარიელებს — ერთი დღით გვიან. ნებისმიერ შემთხვევაში 31 აგვისტოს გავფრინდებით გერმანიაში. რუიტში მატჩამდე ორი დღით ადრე გავჩერდებით, სალამოს ვივახშმებთ და ავტობუსით ბაზელში გადავალთ. მატჩის წინა დღით შვეიცარიელებს რომ უნდა ვეთამაშოთ, იმ მოედანზე ვივარჯიშებთ.

ეს თქვა ჩივაძემ და ჟურნალისტებთან შეხვედრა ჩოლარიამ შეაჯამა: ხაშა მუხლჩაუხრელად მუშაობს. 19 აგვისტოს თბილისში ჩამოსული ლენარტ იუჰანსონი უეფას საგანგებო პრიზით რომ დააჯილდოებს, მანქანით დაუყოვნებლივ თურქეთში გაემგზავრება, რათა ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს დროულად შეუერთდეს.

**ბაჩა ქვანტალიანი**



ფორმა არის, ნაკრები გვინდა

# დემე-ზორი

## ოსები მოსკოვს ნიღბიანი ქართველით ემუქრებიან

**ოთხშაბათს** ვლადიკავკაზის „ალანიამ" სანკტ პეტერბურგის „ზენიტი" ბეჭებზე გააკრა და როგორც იქნა, სახიფათო ზონასაც დაშორდა. ოსების გამარჯვებაში კი ლომის წილი ქართველებმა — მიხეილ აშვეთიამ და გიორგი დემეტრაძემ დაიდეს. ჩვენებურებმა ერთობ იაქტიურეს და სტუმართა დაცვასაც არაერთი თავსატეხი გაუჩინეს. თანაგუნდელთაგან განსაკუთრებით მიხეილ აშვეთია გამოირჩეოდა, რომელიც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ასევე მაღალი შეფასება მიიღო დემეტრაძემაც.



გიორგი დემეტრაძე

საინტერესოა, რომ რაც აშვეთია და დემეტრაძე „ალანიაში" დაბრუნდნენ, რუსულ პრემიერლიგაში ტური არ გავა, მოედანი უგოლოდ დატოვონ. ასე მოხდა „ზენიტთანაც". პირველი ტაიმის მიწურულს საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს სტუმართა მცველმა აშვეთია წააქცია. საჯარიმოდან გიორგი დემეტრაძის ჩაწოდებულზე კი ყველას სწორედ მიხეილმა დაასწრო და თავით აუღებელი დაურტყა მეკარეს.

ქართველებს ამის შემდეგაც შეეძლოთ, ეხეირათ, თუმცა აშვეთიას რამდენჯერმე „ზენიტის" კარის დარაჯმა ვიაჩესლავ მალაფეევმა აჯობა, დემეტრაძეს კი უიღბლობა დასჩემდა.

* „დემეს" უფრო უსიამოვნო ამბავი მატჩის ბოლოს შეემთხვა. მოწინაალმდეგე მცველთან შეჯახებას თითქოს უვნებლად გადაურჩა, თუმცა.. მატჩის შემდეგ ქართველ თავდამსხმელს რენტგენი გადაუღეს და ცხვირის მოტეხილობა დაუდგინეს.

— მოტეხილობა საშუალო სიმძიმისაა სისხლდენა მთლიანად შეჩერებულია. ახლა მთავარია, რამდენად სწრაფად დაცხრება სისხლჩაქცევები. ასეთი ტრავმის მოშუშება კი ინდივიდუალური ამბავია — განაცხადა ვლადიკავკაზის „ალანიას" ექიმმა ედუარდ ცგოევმა.

ჯერ კიდევ არავინ იცის, შეძლებს თუ არა გიორგი დემეტრაძე მომავალ ტურში თამაშს, თუმცა, როგორც ოსები ვარაუდობენ, ქართველი ფორვარდი მოსკოვში „ტორპედო ზილის" წინააღმდეგ აუცილებლად გავა მინდორზე, ოღონდ დამცავი ნიღბით.

**კახა შალამბერიძე**

# გაბელიამ ოგანესიანს დევიძე ათხოვა

## ქართველი სომხებს საქიევოდ დაეხმარება

**წესით და რიგით**, „მერანის" კაპიტანი სოსო დევიძე დღეს დილით დედაქალაქიდან ყვავილნარში უნდა გამგზავრებულიყო და ოთარ გაბელიას მითითებით ევარჯიშა. დევიძე თბილისიდან მართლაც გაემგზავრა, მაგრამ არა დასავლეთ საქართველოსკენ. ავჭალელთა ლიდერმა პირი სამხრეთისკენ იბრუნა, ქვეყნის სასაზღვრო ზოლი გადაკვეთა და გუშინ საღამოს სომხური „პიუნიკის" არგენტინელი თავკაცის, ოსკარ ლოპესის განკარგულებაში იყო.

„პიუნიკმა" ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ფინურ „ტამპერეს" შავი დღე აყარა და ახლა კიევის „დინამოსთან" სათამაშოდ ემზადება.

სომხებს დევიძის გადაბირება ადრეც სდომებიათ, მაგრამ არ გამოვიდა ეგ საქმე, სამეზობლოში კარიერის გაგრძელებას თავად ფეხბურთელი უარობდა. „პიუნიკის" პრეზიდენტმა, წარსულში ცნობილმა სომეხმა ფეხბურთელმა, საბჭოთა ნაკრების წევრმა ხორენ ოგანესიანმა თავისი მაინც არ დაიშალა, ძველ ნაცნობს და მეგობარს ოთარ გაბელიას შეუჩნდა, ანზორ მამალაძეც შეაწუხა და თავად დევიძეც დაიყოლია.

გადაწყვეტილი ამბავია, სოსო დევიძე „პიუნიკს" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე უკრაინულ „დინამოსთან" ორმატჩიან პაექრობაში შეეშველება. სომხებმა ჩვენებური სალიგო განაცხადში უკვე შეიყვანეს და ეს უეფას დათქმული ვადის ამოწურვამდე ორი საათით ადრე მოახერხეს. დღეს ფეხბურთის ფედერაცია დევიძის სახელზე დროებით სერთიფიკატს გასცემს და ავჭალელთა კაპიტანიც ჩემპიონთა თასზე მოსინჯავს ძალებს.

სავარაუდოდ, „პიუნიკი" ვერაფერს გახდება კიევის „დინამოსთან". დევიძეც, ალბათ, მხოლოდ მეთოთხმეტე ჩემპიონატის პირველ ტურში დააკლდება „მერანს". გარკვეულ გამოცდილებას კი ნამდვილად შეიძენს და ავჭალას დაუბრუნდება.

სომხებმა ქართველი ფეხბურთელები ერთხელ უკვე შეიშველეს. 2000 წლის ზაფხულში საფეხბურთო კლუბმა „ერევანმა" ოთხი ჩვენებური მიიწვია და უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თელ ავივის „ჰაპოელს" დააპირისპირა. კახა გოგოლაძით, მამუკა აფციაურით, ელდარ გვასალიათი და პაატა გამცემლიძით გაძლიერებულმა „ერევანმა" მეტოქესთან ორივე თამაში 0:1 და 1:2 წააგო, ის ერთადერთი გოლი კი გოგოლაძემ გაიტანა.

**მამუკა ქვანტალიანი**



სოსო დევიძე



ბელგიის ჩემპიონატის ბომბარდირი, წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე რუსთა გამამწარებელი უესლი სონკი და მისი თანაგუნდელი მუმუნი დაგადო, ღმერთმა ინებოს, ქუთაისში ჩამოვიდნენ

# ჩემპიონთა ლიგა
## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

გენკი (ბელგია) — სპარტა (პრაღა, ჩეხეთი) ან ტორპედო (ქუთაისი, საქართველო)

სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია) — ინტერი (მილანი, იტალია)

მილანი (იტალია) — სლოვანი (ლიბერეცი, ჩეხეთი)

რუზენბორგი (ტრონჰეიმი, ნორვეგია) — ბრონდბიუ (დანია) ან დინამო (ტირანა, ალბანეთი)

შახტარი (დონეცკი, უკრაინა) — ბრიუგე (ბელგია) ან დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი)

მარიბორი (სლოვენია) ან აპოელ (ნიქოზია, კვიპროსი) — აეკ (ათენი, საბერძნეთი)

ბარსელონა (ესპანეთი) — ვარდარი (სკოპიე, მაკედონია) ან ლეგია (ვარშავა, პოლონეთი)

სკონტო (რიგა, ლატვია) ან ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) — დინამო (კიევი, უკრაინა) ან პიუნიკი (ერევანი, სომხეთი)

ლილესტრომი (ნორვეგია) ან ჟელეზნიჩარი (სარაევო, ბოსნია) — ნიუკასლი (ინგლისი)

ჰამარბი (შვედეთი) ან პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია) — ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია)

მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) ან ბელშინა (ბობრუისკი, ბელარუსი) — შტურმი (გრაცი, ავსტრია)

სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია) — ჟილინა (სლოვაკეთი) ან ბაზელი (შვეიცარია)

ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) — ფენერბაჩე (სტამბოლი, თურქეთი)

ზალაეგერსეგი (უნგრეთი) ან კროაცია (ზაგრები, ხორვატია) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)

ბოავიშტა (პორტუგალია) ან ჰიბერნიანსი (მალტა) — ოსერი (საფრანგეთი)

ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) — გრაცერი (გრაცი, ავსტრია) ან შერიფი (ტირასპოლი, მოლდოვა)

*პირველი მატჩები 13-14 აგვისტოს გაიმართება, საპასუხოები: 27-28 აგვისტოს*

# ინტერი უკუღმა ფიქრობს
## ერთი, ტორპედოს და სხვებს ჰკითხოს

**ჩეხური** „სპარტა", ბელგიური „გენკი" და გიხარიდენ, ქუთაისის „ტორპედო" ჩემპიონთა ლიგაშია. ბოლოს და ბოლოს, „გენკი" არც „ინტერია", არც „მილანი", არც „ბარსელონა", არც „ბაიერნი" და კიდევ ბევრი სხვა ბობოლა კლუბი, რომელთაც ქუთაისელები შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გადაჰყროდნენ. ოღონდ აქ ორი მომენტიცაა გასათვალისწინებელი. ერთი, რომ „ტორპედომ" „გენკამდე" ჯერ „სპარტას" ბარიერი უნდა გადალახოს და მეორეც, ვინძლო, გენკელებიც სწორედ „ტორპედოსთან" თამაშზე ოცნებობდნენ, ქართული გუნდის გავლით უფრო ადვილად მოეხვდებით ლიგაშიო.

თუმცა „ტორპედო" გავა „გენკზე" თუ „სპარტა", შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი დაპირისპირება ერთ-ერთი ყველაზე უინტერესო იქნება ზოგადევროპული თვალსაზრისით, ხოლო ობიექტურობისთვის ისიც დავძინოთ, რომ მოსალოდნელ დაპირისპირებათა უმრავლესობა სწორედ ასეთი იქნება.

გამოსარჩევი კი რა არის? „ფეიენოორდი" — „ფენერბაჩე", „ბაიერნისა" და, ალბათ, „პარტიზანის" პაექრობა და რა თქმა უნდა, „სპორტინგი" — „ინტერი".

„ურთულესი ბრძოლა გველის — განაცხადა წილისყრის მერე „ინტერის" ვიცე-პრეზიდენტმა ჯაჩინტო ფაკეტიმ — მაგრამ მაინც კმაყოფილები ვართ. ნუ გაოცდებით, შარშან საკვალიფიკაციო ეტაპზე ბევრად სუსტ „ჰელსინგბორგთან" დავმარცხდით, რადგან სუსტ მეტოქეს სერიოზულად არ მოვეკიდეთ. „სპორტინგი" კი ყველა შესაძლო ვარიანტიდან ურთულესი მეტოქეა, შედეგად, აბსოლუტურად მობილიზებულნი დავუხვდებით. „ინტერი" ძლიერ მეტოქეებს სუსტებზე იოლად ამარცხებს."

დავძინოთ, რომ „ინტერიც" და „სპორტინგიც" ევროთასების იმ შვიდ მფლობელს შორის არიან, რომელთაც განვებამ საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში არგუნა. დანარჩენი ხუთნი არიან: „მილანი", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ბაიერნი", „ფეიენოორდი" და „ბარსელონა".

„ინტერის" თანაქალაქელს, ევროპის ხუთგზის ჩემპიონ „მილანს" გაცილებით სუსტი მეტოქე ხვდა წილად — ჩეხური „ლიბერეცი". ამით იმის თქმა გვსურს, რომ კახა კალაძეს ლიგაში თამაშის ბრწყინვალე შანსი აქვს.

„მანჩესტერი" კი, თუ რამ საოცრება არ მოხდა, ხორვატულ „კროაციას" შეხვდება. ეს გუნდები 1999-2000 წლების სეზონში, ლიგის პირველ ეტაპზე თანაჯგუფელები იყვნენ და კინაღამ სენსაცია გამოცხვა — ხორვატებმა „ოლდ ტრეფორდზე" ფრე გაახერხეს, თუმც შინ დამარცხდნენ.

პოსტსაბჭოური გუნდებიდან ლიგაში მოხვედრის ჩინებული შანსი აქვთ „შახტარს", კიევის „დინამოს" და მოსკოვის „ლოკომოტივს" — ისინი ბობოლებს ასცდნენ.

ალბათ, არც ეს ლიგა ჩაივლის მისი ფაქტობრივად მუდმივი მონაწილის, ნორვეგიულ „რუსენბორგის" გარეშე.

**გიორგი დარჯანია**

# ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი
## ნორვეგია. 21-28 ივლისი

# იცოდე გამარჯვება!

**A ჯგუფი. III ტური**

**სლოვაკეთი 1:3 ესპანეთი**

**1:0 ჩეხი (6), 1:1 დე ლა ფუენტე (21), 1:2, 1:3 ტორესი (65, 90)**

**დრამენის** „მარიენლისტის" სტადიონზე ფავორიტმა ესპანეთმა მოულოდნელად გაღიღერებული სლოვაკეთი დაამარცხა და ევროპის ჩემპიონატის პირველი ფინალისტიც გახდა.

თავად მატჩი, განსაკუთრებით პირველი ტაიმი, თანაბარი გამოდგა. პირველი სახიფათო შეტევა სლავებმა განახორციელეს. მეორე წუთზე ფილიპ სებომ ვერ იხეირა. მაგრამ ცოტაც და, იმავე სებომ საჯარიმო დარტყმა მოინადირა, რომელიც მარეკ ჩეხმა გოლად აქცია.

პირინეელებმა 15 წუთში გაათანაბრეს. ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი სლოვაკმა მცველმა მოგერიების ნაცვლად პირდაპირ სერხიო დე ლა ფუენტეს მიართვა და ამ უკანასკნელმაც საჩუქარი შეიშნო.

ანგარიში კი გათანაბრდა, მაგრამ სლოვაკებს ეტყობოდათ, არაფერს დათმობდნენ. ჯერ იყო და, სებომ ესპანელთა მეკარე მოიას ძნელად ასაღები ბურთი მოაგერიებინა, შემდეგ კი ჩეხის მიერ საჯარიმოდან ჩაკიდებულს ესპანელთა დაცვაში გვარიანი პანიკა და ნერვიულობა მოჰყვა.

ტაიმის მიწურულს ისევ ესპანეთმა იძალა და ფერნანდო ტორესს თავისიანთა წინ გაყვანაც შეეძლო, თუმცა ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა.

ესპანეთს გამარჯვება სჭირდებოდა, ამიტომ მეორე ტაიმისა და შტურმის დაწყება ერთი იყო. საწყის წუთებზე ჯერ ხუან ანდრეუს თავური ასცდა სლოვაკთა კარს, მერე ტორესმა ააცილა შორიდან.

55-ე წუთზე ესპანელებს ბომბარდირი ხოსე ანტონიო რეიესი დაუშავდათ, თუმცა ამით არაფერი შეცვლილა — ესპანეთი სამი ქულის აღებას ლამობდა და სლავებიც მათსავე ნახევარზე ჰყავდა გამოკეტილი.

ხუთიოდ წუთში სერხიოს დარტყმული ბურთი რიკოშეტით ტორესს მიუვიდა, მანაც თავისი მორიგი მომენტი გააცუდა, საპასუხო შეტევისას კი სლოვაკებს შეეძლოთ გატანა, თუმც მილან ივანამ ვერ ივარგა.

65-ე წუთზე ესპანეთმა ნავსი გატეხა და იქამდე უიღბლო ფერნანდო ტორესმა ბოლოს და ბოლოს, გაიტანა.

ვითარების გამოსასწორებლად სლოვაკთა მწვრთნელმა პეტერ პოლაკმა ერთბაშად სამი ცვლილება გააკეთა, მაგრამ ანგარიშის შენარჩუნებაზე მოთამაშე ესპანეთს ვეღარაფერი დააკლო. საბოლოოდ კი, უკვე მსაჯის საფინალო სასტვენის მომლოდინე ესპანელებს გული ტორესმა დაუმშვიდა თავისი მატჩში მეორე, ხოლო ტურნირზე მესამე გოლით.

— ვამაყობ ჩემი გუნდით — არცთუ დამწუხრებული საუბრობდა ნამატჩევს პეტერ პოლაკი — დღეს თამაშის უმეტესი ნაწილი ბიჭებმა მშვენივრად ჩაატარეს. მართალია, შეცდომებიც იყო, მაგრამ მეტოქედ ხომ ესპანეთი გვყავდა. ახლა მთავარია, კვირას ბრინჯაოს მედლები მოვიგოთ.

თავისი ბიჭები ინაკი საესმაც შეაქო:

— ასეთ ვითარებაში, როცა გამარჯვება აუცილებელია, ნერვიული დაძაბულობა ყოველთვის დიდია. მთავარია, იცოდე, როგორ გაიმარჯვო. ჩემმა ბიჭებმა ეს შეძლეს. მატჩი უნდა მოეგოთ და მოიგეს კიდეც.

ჩვენთვის სულ ერთია, ფინალში ვისთან ვითამაშებთ — ფავორიტის შესაფერად დასძინა საესმა.

**ჩეხეთი 1:0 ნორვეგია**

**1:0 რადა (4)**

**მასპინძელმა** ნორვეგიამ მესამე მარცხი იწვნია და ჯგუფის ფსკერზე საბოლოოდ უქულოდ დამკვიდრდა. ამ თითქოსდა არაფრის მომცემ მატჩს სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელობა მაინც ჰქონდა — ორივე გუნდი ჯგუფში მესამეობისთვის ეცილებოდა ერთმანეთს, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვებას ნიშნავდა. საყმაწვილო მუნდიალი გაისად გაიმართება.

მე-4 წუთზე კუთხურის ჩაწოდების შემდეგ ტომაშ რადას გატანილი გოლი მატჩში ერთადერთი აღმოჩნდა. ჩეხებს მეტიც შეეძლოთ, თუმც პირველ ტაიმში სვერკოშმა ოდნავ ააცილა კარს, მეელიკს კი ნორვეგიელთა მეკარე ლარსენმა აუღო.

სტუმართა საგოლე მომენტებმა მეორე ტაიმში უფრო იმატა, როცა ნორვეგიამ გათანაბრება მოინდომა და მთელი გუნდით წინ წავიდა, რითაც ზურგი მოაშიშვლა. განსაკუთრებით სვერკოშის დარტყმაა აღსანიშნავი, რომელმაც ნორვეგიელთა კარის ხარიხა შეაზანზარა. ჩეხთა კაპიტან ტომაშ სივოკსაც შეექმნა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, თუმცა რადას შედეგიან თავურს მეტი გოლი აღარ მიმატებია. ჩემპიონატში ერთადერთი გოლის (ისიც პენალტით) გამტანმა ნორვეგიამ კი სახიფათო ვერაფერი შექმნა და მხოლოდ იმით შეუძლია თავის დამშვიდება, რომ ამჯერად დიდი ანგარიშით არ წააგო.

იოჟეფ კრეჟკა ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელი: „ამ ტურნირზე დიდი იმედით ჩამოვედით, თუმცა სათანადო ფორმაში არ ვიყავით და შედეგიც შესაფერისი მივიღეთ. ესპანეთი და სლოვაკეთი ჩვენზე ძლიერები იყვნენ, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ადგილი რომ დავიბევეთ, ესეც მიღწევაა."

ბრაიან ჰანსენი ნორვეგიის ნაკრების მწვრთნელი: „კიდევ ერთხელ წარმოვაჩინეთ თავი ცუდად. მეტოქე განსაკუთრებით ტექნიკური მომზადებით გვჯობდა. თამაშიც საშინლად, პირველივე წუთებზე გაშვებული გოლით დავიწყეთ. არადა, ჩვენი მიზანი იყო, ჩეხების სასტარტო ზეწოლისთვის გაგვეძლო და მეორე ტაიმში გოლი გაგვეტანა."

**სერგი ტორიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| სლოვაკეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 11:6 | 6 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 |
| ნორვეგია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |



ნორვეგიელმა ივინდ ჰოესმა ჩეხებსაც ვერაფერი დააკლო



ხავი მორენო და დემეტრიო ალბერტინი ერთადერთმა ესპანელმა მყიდველმა, მადრიდის „ატლეტიკომ" გადაიბირა

# ის ცხოვრება აღარ არის!

## ოღონდ კონტრაქტს ნუ ახსენებთ...

*მსოფლიოს ჩემპიონატმა ყველას ერთნაირი შთაბეჭდილება დაუტოვა — ნაკრებთა უმრავლესობამ შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა. კეთილი, რაც იყო იყო, ახლა საკლუბო სეზონი იწყება, მაგრამ ვაი, რომ ევროპა ფინანსურ კრიზისს ჰყავს მოცული. სატრანსფერო აქტიურობა თითქმის ნულის ტოლია, სატელევიზიო კონტრაქტების საკითხი ბურუსით მოცული და მოუგვარებელია, კლუბებში ფეხბურთელებს ხელფასებს უმცირებენ.*

**იტალიაში**, სერია A-ს ორ თვალსაჩინო კლუბს, „რომასა" და „ლაციოს" რეგისტრაციაში არ ატარებენ, რის გამოც ჩემპიონატი შეიძლება მათ გარეშე ჩატარდეს. იმავე დღეშია, ქვეყნის ქვედა ლიგების ბევრი კლუბიც. ამ თვეში ჩატარებულმა ფინანსურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ სერია A-ს კლუბებს გვარიანი თანხა, 696,4 მილიონი დოლარი უზარალიათ. ერთი სიტყვით, ევროპაში კრიზისია, განსაკუთრებით მწვავედ კი საკითხი იტალიაში დგას.

არც თუ შორეულ წარსულში საკმაოდ პრეტენზიული „ფიორენტინა" შეიძლება სულაც აღიგავოს პირისაგან მიწისა. ლიგის სამმა მაღალშემოსავლიანმა ვარსკვლავმა, „ინტერის" ტრიომ, იტალიელმა კრისტიან ვიერიმ, ბრაზილიელმა რონალდომ და ურუგვაელმა ალვარო რეკობამ თავიანთი ჯამაგირების შეკვეცაზეც კი ჩამოაგდეს სიტყვა, რათა კლუბისთვის ფინანსური მდგომარეობა როგორმე შეემსუბუქებინათ.

ლონდონის „არსენალის" ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერი: „დიახ, მანქანა აშკარად კედელს შეეჯახა."

ვენგერმა ერთი ხნის წინ განაცხადა, ევროპულ ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობა კატასტროფულიაო. ერთადერთი ტრანსფერი, რომელმაც „ბებერ კონტინენტზე" ყურადღება მიიქცია, „მანჩესტერ იუნაიტედის" მიერ „ლიდს იუნაიტედისგან" მცველის, რიო ფერდინანდის შეძენა გახლდათ. ტრანსფერის ღირებულება 29 მილიონი გირვანქა გახლდათ, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ევროპულ ბაზარზე უფრო მსხვილი და ხმაურიანი გარიგება არ მოხდება. არა უშავდა „ლივერპულსაც", რომელმაც სენეგალელ ელ-ჰაჯი დიუფში 10 მილიონი ევრო გადაიხადა.

მაგრამ, ინგლისელების შედარებითმა სატრანსფერო აქტიურობამ არ უნდა მოგვატყუოს. პრობლემები კუნძულზეც შეინიშნება, კერძოდ კი ტელევიზიასთან დაკავშირებით. ციფრული ITV-ს ფიასკომ 72 ინგლისური კლუბი ასე საჭირო ხელშეკრულებების გარეშე დატოვა. სატელევიზიო ბურუსმა ესპანეთშიც არია ვითარება.

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ მადრიდის „რეალს" ამ ზაფხულს ერთი ფეხბურთელიც არ უყიდია, თუმცა, „რეალის" პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი აცხადებს, ამის მიზეზი უფულობა კი არა, გასაყიდად გამოყვანილ ფეხბურთელთა უვარგისობააო.

„ბარსელონამ" რივალდო გაუშვა და მისთვის მომდევნო ერთ სეზონში გადასახდელი ხელფას-პრემია, 10 მილიონი დოლარი გადაარჩინა. თუმცა, ესპანეთში ყოჩაღობს მადრიდის „ატლეტიკო", რომელმაც ექვსი მოთამაშე შეიძინა და მათგან ერთში, ხავი მორენოში მთელი 15 მილიონი გადაიხადა. „დეპორტივომ" კი ორჯერ გადადო პარაგვაელი რობერტო აკუნიასა და პორტუგალიელი ცენტრალური მცველის, ჟორჟე ანდრადეს ყიდვა. ალბათ, იმიტომ, რომ 10 მილიონი დოლარი ენანებოდა და მოლოს მაინც იყიდა.

ესპანური სეზონი 31 აგვისტოს იწყება, ჩემპიონ „ვალენსიას" კი ერთი მოთამაშეც არ დაუმატებია. შეძლებს „ვალენსია" ლიგასა და ევროპულ პირველობაზე ერთდროულად ხეირიანად გამოსვლას?

გერმანიაში რაღა ხდება? ამ ქვეყნის საფეხბურთო პროგრესს ნამდვილად არავინ ელოდა, არადა, ნაკრები მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, ხოლო ბუნდესლიგის მოახლოებულ ჩემპიონატში, ბილეთების წინასწარი გაყიდვა გასაოცარ მასშტაბს აღწევს — ბუმია. კეთილი, ევროპული ჩემპიონატის მატჩებს გერმანელები ტრიბუნებიდან რომ ადევნებენ თვალს, ფაქტია, მაგრამ სატელევიზიო რეპორტაჟებისა და ხელშეკრულებების საქმე, რომ ცუდადაა, მედია გიგანტი „კირხის" გაკოტრებიდანაც ადვილი ამოსაცნობია.

ერთადერთი კლუბი, რომელმაც სატრანსფერო ბაზარზე იაქტიურა, მიუნხენის „ბაიერნი" გახლავთ. მან „ლევერკუზენისგან" ზე რობერტო და მიხაელ ბალაკი, ხოლო „ჰერტასგან" სებასტიან დაისლერი შეიძინა.

ჩემპიონმა „დორტმუნდმა" ტორსტენ ფრინგსი და არგენტინელი ხუან რამონ ფერნანდესი იყიდა, თუმცა კლუბის კომერციული მენეჯერის მიხაელ ცორკის განცხადებით, ბალანსის აღსადგენად ახლა რამდენიმე მოთამაშე სასწრაფოდაა გასაყიდი. დორტმუნდელთა მწვრთნელი მათიას ზამერი კი ამბობს, რომ ასეთი კრიზისის პირობებში ნაკრების ვიცე-ჩემპიონობა უთუოდ დიდი ფსიქოლოგიური დახმარება იქნება ბუნდესლიგისთვის. შესაძლოა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ როსტოკის „ჰანზამ" 13 მოთამაშეს თავისუფალი აგენტის სტატუსი მიანიჭა, ხოლო ფრანკფურტის „აინტრახტი" უფულობამ კინაღამ რეგიონალლიგაში გააგდო.

თურქეთში, რომელიც, ამ ბოლო დროს, ევროპის საფეხბურთო ელიტაში მეტად და მეტად მოიხსენიება, ნაკრების ტრიუმფმა კი განსაკუთრებული რეაქცია გამოიწვია, მაგრამ ამით კლუბების ვალები და სატელევიზიო შემოსავლები არ გასწორებულა. თურქული ლირა დევალვაციას განიცდის, ასე რომ ფეხბურთელებისთვის გვარიანი ხელფასების გადახდა მხოლოდ შეძლებულ კლუბებს ხელეწიფებათ.

ჩემპიონმა „გალათასარაიმ", რომელიც საერთოდ დიდი ხელფასებითაა ცნობილი, იტალიური კლუბებიდან რამდენიმე თანამემამულე ფეხბურთელი ისესხა. ერთადერთი ხმაურიანი თურქული ტრანსფერი „ფენერბაჩეს" მიერ 7,5 მილიონ დოლარად არგენტინელი არიელ ორტეგას ყიდვა გახლდათ.

საფრანგეთში?

„ჩვენ მოთამაშეთა ხელფასებს 35 პროცენტით ვამცირებთ" — განაცხადა მარსელის „ოლიმპიკის" შეფმა ალან პერინმა.

**ბაჩუნა ძიძია**

# პარიზს კანალი მეტყნება

## სენ ჟერმენის უბანში ტელევიზია გაითიშა


რონალდინიოს პარიზში უფულოდაც ინდომა

**ტელეკონტრაქტებთან** დაკავშირებულმა პრობლემებმა, რაშიც მთელი ევროპული ფეხბურთია გახვეული, ფრანგულ „პარი სენ ჟერმენსაც" უწია. ვითარება იქაც ისეთივეა, როგორც ყველგან. ფული არ არის და ფეხბურთელებიც ხელფასის იძულებით შეკვეცაზე თანხმდებიან.

საქმე კი ფრანგულ „კანალ პლუსის" კრიზისშია. ამ ტელეკომპანიამ პსჟ 1991 წელს იყიდა და პარიზელების შემოსავლის ლომის წილი სწორედ ტელევიზიიდან მიედინებოდა. ახლა კი „კანალ პლუსმა" გადაწყვიტა, კლუბი გაყიდოს. მიზეზი გასაგებია — პსჟ-ს შენახვა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

კლუბის წლიური კაპიტალბრუნვა 55 მილიონ ევრომდეა, რაც, როგორც ჩანს, დიდხანს ვერ გასტანს. სხვათა შორის, 1996 წლის თასების მფლობელთა თასის მფლობელი კლუბის გაყიდვაზე პირველად წლეულს თებერვალში ალაპარაკდნენ. მაშინ ამ ინფორმაციას ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა კატეგორიულად უარყოფდა. როგორც ახლა გახდა ცნობილი, ფრანგულ-ამერიკული ტელეკომპანია კლუბის სარფიანად გასაღებას კარგა ხანია, ცდილობს, თუმც ჯერ ვერაფერი მოუხერხებია.

„ძალიან ცუდი ამბავია, თანაც ეს ყველაფერი ახლა, სეზონის დაწყების წინ ხდება" — განაცხადა პსჟ-ს ერთ-ერთმა აქციონერმა ალენ კაუზაკმა. კლუბის მავანმა ფანმა კი პარიზელთა ვებ-გვერდზე იკითხა — ვინ იყიდის კლუბს, რომელსაც ბოლო 4 წელია, არაფერი მოუგია და ბიუჯეტი არ ევსება? პასუხი მარტივია, არავინ.

1973 წელს დაარსებულმა პსჟ-მ ორჯერ, 1986 და 1994 წლებში მოიგო საფრანგეთის ჩემპიონატი, ევროპაში კი 1996 წელს მოპოვებული თასების მფლობელთა თასი აქვს საამაყო. ეს იმ დროს, როდესაც 90-იანი წლების მეორე ნახევარში, 2000 წლამდე კლუბმა შემადგენლობის გასაძლიერებლად 70 მილიონ ევრომდე დახარჯა.

პსჟ-სა და „კანალ პლუსის" კონტრაქტი 340 მილიონი ევროს ღირებულებისაა და 2004 წლამდე გრძელდება. კლუბის საბაზრო ფასი კი ბოლო ინფორმაციით 230 მილიონ ევროს აღწევს.

აქ მთავარი კითხვაა, რა თანხას შეადგენს „პარი სენ ჟერმენის" ვალი. სწორედ ამ კითხვაზე პასუხი გვაჩვენებს კლუბის ნამდვილ ღირებულებას.

საბოლოოდ, სპეციალისტების საერთო აზრით, პარიზული კლუბი, ალბათ, რეალურ ღირებულებაზე ნაკლებად გაიყიდება, რაც აუცილებლად გამოიწვევს სახელფასო ფონდის შემცირებას. ჯერჯერობით კი კლუბის მთავარმა ვარსკვლავმა რონალდინიომ განაცხადა, გუნდის დატოვებას არ ვაპირებო.

მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა კი უკვე შეკრებაზე მყოფ ფეხბურთელებს ჯამაგირის შემცირებაზე ჩამოუგდო სიტყვა, რაზეც, ფერნანდესისავე თქმით, მოთამაშეებმა თანხმობა უკვე განაცხადეს.

**სერგი ძორიძე**

# ზიდანმა, ცოტა მილიონიც მეყოფაო

**ზინედინ ზიდანმა**, მსოფლიოს უძვირესმა ფეხბურთელმა თქვა, ჩემი თავი შემოგევლოთ, თუ საჭირო შეიქნა, მზად ვარ, ხელფასის შემცირებას დავთანხმდეო. შეგახსენებთ, რომ ზიდანი მადრიდის „რეალში" თამაშობს, ხოლო ხელფასის ნებაყოფლობით შემცირებაზე ლაპარაკი, რეკობა-ვიერი-რონალდოს ტრიოს ცნობილი ანალოგიური განცხადების შემდეგ, ერთგვარ მოდად იქცა.

„კლუბის ხელმძღვანელობასთან ამის თაობაზე ჯერ არ მილაპარაკია, უბრალოდ მზადყოფნას გამოვთქვამ და თუ საჭირო გახდა, „რეალს" შეუძლია, ჩემი იმედი ჰქონდეს — განაცხადა კლუბის ვებ-გვერდზე ზიდანმა — საერთოდ კი, რაც უფრო ნაკლებს ვილაპარაკებთ ფულზე, უმჯობესი იქნება."

ზინედინ ზიდანი, მოგეხსენებათ, მდიდარი კაცია, მას, ლუიშ ფიგუს და რაულს პრიმერადივიზიონში ყველაზე დიდი ხელფასები აქვთ — თითოეული წელიწადში დაახლოებით ექვს მილიონ დოლარს იღებს.

ვაღიაროთ, რომ ასეთი ჯამაგირი რომ გვქონდეს, ოდნავ შემცირებას ჩვენც დავყაბულდებოდით.

და არ გიკვირთ, „ბარსელონადან" წასულ რივალდოს მთხოვნელები კარტას რომ არ აგლეჯენ? საქმე ის გახლავთ, რომ ბრაზილიელი თავისუფალი აგენტია და რაკი მისი გადაბირება ნებისმიერ მსურველს უფასოდ შეუძლია, მეტად დიდ ხელფასს ითხოვს, რაც კლუბებს აფრთხობთ. „მილანმა", რომელიც რივალდოთი ერთობ დაინტერესებულია, ფეხბურთელს შეუთვალა, ცოტა ქამრის შემოჭერას თუ დათანხმდები, წამითაც არ დავფიქრდებითო.

**ირაკლი ნინიძე**


ზინედინ ზიდანი


ამ ზაფხულს ევროპამ თავი ოდენ რიო ფერდინანდით მოიწონა



ალან პერინმა „მარსელის" ფეხბურთელებს გულები გაუხეთქა

# აქაც დიდი ხალხი იყო...

**ეს ბრაზილიელი** მსოფლიოს ჩემპიონები კარგად კი ჩამოაწიკწიკეთ, მაგრამ იცი, რა მაინტერესებს — ურუგვაელებმა რომ მოიგეს პირველი ჩემპიონატი, ცოცხალი არის ვინმე?

შემეძლო, ეს კითხვა „სარბიელში" მოსულ კორესპონდენციად გამესაღებინა, მაგრამ სინამდვილეში უბნელმა მკითხა. მახსოვდა, რომ 1930 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული ურუგვაელებიდან უმრავლესობა უკვე იმქვეყნიურ-შეჯიბრებებზე ბურთაობდა, მაგრამ ზუსტი პასუხი ნამდვილად არ ვიცოდი.

ჰოდა, ჩავუჯექი. დაახლოებით 2 კვირა დამჭირდა და აგერ პასუხიც — სამწუხაროდ, არავინ.

72 წელი გავიდა პირველი მსოფლიოს ჩემპიონატიდან და როგორც გავარკვიე, დღესდღეობით მხოლოდ 4 თუ 5 ფეხბურთელია ცოცხალი, იმ ჩემპიონატზე რომ უთამაშია — მათ შორის, მსოფლიოს თასის ისტორიაში პირველი გოლის ავტორი, ფრანგი ლუსიენ ლორანი, 1907 წელს დაბადებული.

პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთაგან საკუთარი გუნდის შექმნა კი მიქელ-გაბრიელს ავადსახსენებელ 1937 წელს დაუწყია, თუმცა რეპრესიები არაფერ შუაშია — რუმინელი ადალბერტ დესუ 28 წლის ასაკში პნევმონიამ შეიწირა. ყველგან ეჩქარებოდაო, იმ საწყალზე ითქმის: 1930 წლის ჩემპიონატის ყველაზე სწრაფი გოლი, 50-ე წამზე, პერუს კარში სწორედ დესუმ გაიტანა. ერთ წელიწადში, 33 წლისა, ჩილელი ვიქტორ მორალესიც გარდაიცვალა.

მერე კი, მოგეხსენებათ, მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, ომში კი ფეხბურთელობას შეღავათი ნაკლები აქვს. ცხადია, ეს უბედურება ძირითადად ევროპელებს შეეხოთ. ზოგი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა, ორი შემთხვევა კი საქვეყნოდ ცნობილია: იუგოსლაველი მცველი მილუტინ ივკოვიჩი გესტაპომ დახვრიტა, საფრანგეთის ნაკრების კაპიტანს ალექსანდრ ვილაპლანს კი ომის მიწურულს თავად ფრანგები გაუსწორდნენ გესტაპოსთან თანამშრომლობის გამო.

ჩემპიონ ურუგვაელებს კი განგებამ მათი ქვეყნის მეორედ გაჩემპიონებაც (1950) აცალა, 1957 წლის 18 იანვარს კი ნახევარმცველი ალვარო გესტიდო გარდაიცვალა. 27 წლის შემდეგ, 1984 წლის 3 ივლისს კი პატარა სამხრეთამერიკული ქვეყანა პირველი მსოფლიოს ჩემპიონების გარეშე დარჩა. უკანასკნელი მოჰიკანი 76 წლის ერნესტო მაშერონი გახლდათ.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ ადრეულ ჩემპიონატებზე ჩემპიონად მხოლოდ ფინალში მონაწილე 11 ფეხბურთელი ითვლებოდა, თუმცა დღეს სჯობს, ყველა ის ურუგვაელი გავიხსენოთ, ვინც ამ უდიდეს და ისტორიულ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა.

აქაც დიდი ხალხი იყო...

**გიგა კობახიძე**




1 ენრიკე ბალესტეროსი, 2 ხოსე ნასაცი, 3 ერნესტო მაშერონი, 4 ხოსე ანდრადე, 5 ლორენსო ფერნანდესი, 6 ალვარო გესტიდო, 7 პაბლო დორადო, 8 ჰექტორ სკარონე, 9 ჰექტორ კასტრო, 10 პედრო სეა, 11 სანტოს ირიარტე

ენრიკე ბალესტეროსი 18.01.1905 — 11.10.1969 მეკარე 4 მატჩი

ხოსე ნასაცი 24.05.1901 — 17.06.1968 მცველი 4 მატჩი

ხოსე ლეანდრო ანდრადე 1.10.1901 — 4.10.1957 ნახევარმცველი 4 მატჩი

ლორენსო ფერნანდესი 20.05.1900 — 16.11.1973 ნახევარმცველი 4 მატჩი

ალვარო გესტიდო 17.05.1907 — 18.01.1957 ნახევარმცველი 4 მატჩი

პედრო სეა 1.09.1900 — 18.09.1970 თავდამსხმელი 4 მატჩი, 5 გოლი

სანტოს ირიარტე 1.11.1902 — 10.11.1961 თავდამსხმელი 4 მატჩი, 2 გოლი

ერნესტო მაშერონი 21.11.1907 — 3.07.1984 მცველი 3 მატჩი

პაბლო დორადო 22.06.1908 — 18.11.1978 თავდამსხმელი 3 მატჩი, 2 გოლი

ჰექტორ სკარონე 26.11.1898 — 4.04.1967 თავდამსხმელი 3 მატჩი, 1 გოლი

ჰექტორ კასტრო 29.11.1904 — 15.09.1960 თავდამსხმელი 2 მატჩი, 2 გოლი

პელეგრინო ანსელმო 30.04.1902 — 27.10.1975 თავდამსხმელი 2 მატჩი, 3 გოლი

დომინგო ტეხერა 27.07.1899 — 30.06.1969 მცველი 1 მატჩი

სანტოს ურდინარანი 30.03.1900 — 14.07.1979 თავდამსხმელი 1 მატჩი

პედრო პეტრონე 11.05.1905 — 13.12.1964 თავდამსხმელი 1 მატჩი

ალბერტო სუპიჩი მწვრთნელი 20.11.1898 — 21.06.1981



ჰექტორ კასტრო ერთადერთი ცალხელა მსოფლიოს ჩემპიონია, მარჯვენა მტევანი არ ჰქონდა

# ფერგიუსონს ასწავლით?

## მანჩესტერელები გაზეთებს კითხულობენ

**„კლუბის** ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ მას დავარწმუნებთ, რომ გუნდისთვის საჭიროა. მას ცხოვრებაში პირველად აკრიტიკებენ ასე მძაფრად, თუმცა დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება" — ეს სიტყვები ალექს ფერგიუსონმა შარშანდელი, ბევრის აზრით, უიღბლო შენაძენის, ხუან სებასტიან ვერონის დასამშვიდებლად თქვა.

„ლაციოდან" 28 მილიონ გირვანქად გადაბარგებულმა არგენტინელმა წინა სეზონში არცთუ კარგად ითამაშა, „მანჩესტერმაც" ვერაფერი მოიგო, ასე რომ, ქომაგებმა და ბრიტანულმა მედიამ ხელი „ჯადოქარს" (ვერონის ერთ-ერთი მეტსახელია) შეაწმინდეს. არგენტინის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე შერცხვენის შემდეგ კი ვერონს თავს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა.

„პრესამ ვერონს კბილი კი დაასო, მაგრამ იგი ძლიერია და ეს ვერ შეაშინებს. ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ ვერონისთვის „მანჩესტერი" ახალი კლუბია. მას რომ მოერგოს, დრო სჭირდება" — დასძინა სერ ალექსმა და იქვე ისიც დაამატა, უიღბლო სეზონის შემდეგ პრესა გუნდის სხვა ფეხბურთელებსაც მისდგაო.

„ჩემი ბიჭები გაზეთებს კითხულობენ, მერე კი ცუდ ხასიათზე დგებიან. ასე არ შეიძლება, ჩვენ ჩვენი საქმე ვიცით და ვერავინ გვასწავლის, როგორ ვითამაშოთ."

შოტლანდიელი ახალი სეზონის დაწყებას 4-5-1 განლაგებით აპირებს, ნახევარმცველებიდან ფერგიუსონი როი კინს, რაიან გიგზს, პოლ სქოულზს, დევიდ ბექემს, ხუან ვერონსა და ნიკი ბათს დაეყრდნობა.

„როცა ექვსი უმაღლესი კლასის ნახევარმცველი გყავს, არჩევანის გაკეთება ცოტა ჭირს, თუმც მეორე მხრივ ასეთი ხალხი ნახევარდაცვის პრობლემას მთლიანად მოხსნის — განაცხადა ფერგიუსონმა და ბოლოს ისევ პრესას დაუბრუნდა — გუნდის განლაგებაც არ არის მთავარი. მე შემიძლია, 9 ფორვარდით ვითამაშო, მთავარია, ამით რა შედეგს მივაღწევ. შედეგის მიღწევა კი, მე არ მესწავლება."

**სერგი კორიძე**



ალექს ფერგიუსონი

# ბაიერნი ბერლინის კედელს შეასკდა

**გერმანია**

**ლიგის თასი**

**ბაიერნი 2:2დ.დ. (3:4 პენ.) ჰერტა**

1:0 ელბერი (17), 1:1 მარსელინიო (44), 1:2 პრეეცი (87), 2:2 ელბერი (88)

პენალტები: 1:0 სალიჰამიჯიჩი, 1:1 კონსტანტინიდისი, 2:1 შოლი, 2:2 ნოიენდორფი, 3:2 ციკლერი, 3:2 მარსელინიო (მეკარე), 3:2 სანიოლი (ააცილა), 3:3 შმიდტი, 3:3 ტარნატი (მეკარე), 3:3 პრეეცი (მეკარე), 3:3 ელბერი (მეკარე), 3:4 პინტო

ბაიერნი: ვესელსი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ტარნატი, სალიჰამიჯიჩი, ნ. კოვაჩი, ფინკი (ტიამი 77), შოლი, ელბერი, პიზარო (ციკლერი 67)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

ჰერტა: კირალი, შმიდტი, სიმუნიჩი, ფრიდრიხი, კონსტანტინიდისი, მარქსი (პინტო 66), მარსელინიო, ჰარტმანი, ალვეში (კარვანი 76), პრეეცი, გოორი (ნოიენდორფი 58)

მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი

გაფრთხილება: ნ. კოვაჩი, მარსელინიო, შმიდტი, ნოიენდორფი, ჰარტმანი

მსაჯი: გაგელმანი

11 000 მაყურებელი

**ლიგის თასის** მფლობელმა „ჰერტამ" პენალტების სერიით 4:3 დაამარცხა „ბაიერნი" და ნახევარფინალში გავიდა.

მატჩი „ბაიერნის" უპირატესობით დაიწყო და მე-17 წუთზე ბრაზილიელი ჯოვანი ელბერის გოლითაც მიუნხენელები დაწინაურდნენ, მაგრამ გამვებული გოლის შემდეგ „ჰერტა" ათამაშდა და ტაიმის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე მარსელინიომ ანგარიში გაათანაბრა.

| 9 | ოდენსე (6) | | 25.08 | | : | | | 29.09 | | | | : 04.08 | 08.09 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 10 | აკადემისკი კოპენჰაგენი (5) | 08.09 | : | | | | 25.08 | | | 11.08 | | 22.09 | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 11 | სილკებორგი სილკებორგი (9) | 25.08 | | 29.09 | | : | 11.08 | | 08.09 | | | | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 12 | ოლბორგი (4) | 22.09 | | | | 11.08 | | 01.09 | | | 18.08 | 15.09 | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №71 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[a] კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწულის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | მარტყოფის ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| ზუგდიდი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

*საქართველოში გუშინდელი დღე და სოლტ ლეიკ სიტიში „დენვერ" — „ფინიქსის" საზაფხულლიგო მატჩი ერთდროულად დაიწყო. ჯერაც დაუმარცხებელ დენვერელთა ხილვა ტელეკომპანია ESPN-ით მთელ ამერიკასა და ამ ტელეარხის მაყურებელ დანარჩენი მსოფლიოს მოსახლეობას შეეძლო. ასე რომ, დენვერული დებიუტიდან ხუთ დღეში ნიკა ცქიტიშვილის ტელედებიუტიც შედგა... ამ მატჩში ქართველის კარგი თამაშის გარდა ტელემაყურებელი საჯარიმოებისას ბურთის მოსახსნელად ჩასაფრებულ ცქიტიშვილისა და ფინიქსელი ცაკალიდისის ლაპარაკსაც შეასწრებდა თვალს, მაგრამ ცოტა თუ იქნებოდა ისეთი, რომელმაც იცოდა, რა საერთო ჰქონდა ამ ორს.*

*„სარბიელისა" და ნიკა ცქიტიშვილის გუშინდელი სატელეფონო საუბარი ამ მატჩის პერიპეტიებთან ერთად ვლადიმერ სტეფანიასაც შეეხო.*

# ცქიტიშვილი VS სტეფანია არ გამოვიდა

## საუბრები საქართველოზე სამწამიან ზონაში



ნიკა ცქიტიშვილს ამერიკაში ავტოგრაფის მთხოვნელი არ აკლია

— გილოცავ, მეოთხე მატჩი და მეოთხე გამარჯვება. თუმცა ამ ჯერზე შედარებით მოკრძალებული ანგარიშით...

— იოლი თამაში არ ყოფილა, ფინიქსელები საკმაოდ გაგვიძალიანდნენ, მატჩის დიდი ნაწილი ქულა-ქულაში გაილია. ჩვენი უპირატესობა მესამე მეოთხედში გამოიკვეთა, როცა ათქულიან უპირატესობას მივაღწიეთ და ამის შემდეგ „ფინიქს სანსს" წამოწევის შანსი აღარ მივეცით. საბოლოოდ 73:64 მოვიგეთ.

**— დენვერელთაგან 9 ქულით იმ ოთხ კალათბურთელს შორის იყავი, ყველაზე მეტი ქულა რომ ჩააგდო. კმაყოფილი უნდა იყო...**

— მე მგონი, ცუდად არ მითამაშია, განსაკუთრებით კი დაცვაში. „დენვერი" დაცვას მეტ ყურადღებას აქცევს და თუ იქ კარგად ითამაშებ, უნდა ჩათვალო, რომ მწვრთნელებიც კმაყოფილნი დარჩებიან.

**— დაცვაზე ორიენტირებულისთვის 9 ქულა ურიგო არაა. მთელი მონაგარი სამქულიანებით დაგიგროვებია...**

— ეგ მართლაც მიხარია. საქმე ისაა, რომ სამიდან სამივე სამქულიანი ჩავაგდე, რაც ნბა-ში იშვიათობაა. როგორც ამ მატჩებმა აჩვენა, „დენვერში" შორიდან ყველაზე კარგად ვისვრი და ეს ძალიან მახარებს. ერთიცაა, სამჯერვე მაშინ ჩავაგდე, როცა თანაბარი ბრძოლა იყო და ამან გუნდზე კარგად იმოქმედა.

**— მარტო შორი სროლების იმედად ყოფნა, დამეთანხმები, არვარგა. „ფინიქსთან" მატჩში შეტევის სხვა ხერხები თუ სცადე?**

— რა თქმა უნდა, ვცადე. ისე არ გამიგოთ, თითქოს მხოლოდ სამიანებს ვესროდე. დღეს ფარქვეშ შედარებით ხშირად შევდიოდი, საკუთარ ფარზე სამი, მოწინააღმდეგისაზე კი ხუთი ბურთი მოვხსენი. „ფინიქსის" ფარქვეშ ბურთით ორჯერ აღმოვჩნდი, მაგრამ ორჯერვე ავაცილე. მეტი ჯანი რომ მქონოდა, ფინიქსელთა ცენტრ ცაკალიდისს მხარს ვკრავდი და უფრო ზუსტად დამიზნების შესაძლებლობა მომეცემოდა, მაგრამ...

**— მომდევნო კითხვასაც თავად მიადექი, სოხუმში დაბადებულ ცაკალიდისს თუ ელაპარაკე?**

— საქართველოში წელიწადნახევარზე მეტია, არ ვყოფილვარ და სოხუმში დაბადებულ კაცთან გამოლაპარაკების შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდი. ყველაზე მეტად ის გამიხარდა, რომ მან ჩემს შესახებ ბევრი რამ იცოდა და გამოლაპარაკებაც დამასწრო — საჯარიმო სროლისას ბურთის მოსახსნელად რომ ვიდექით, მითხრა, შენ ქართველი არა ხარო. თამაშის ბოლომდე ჯარიმებისას სულ გვერდიგვერდ ვდგებოდით და ვლაპარაკობდით. ინგლისურად ვსაუბრობდით, ისე, რუსულიც იცოდა. სოხუმში დავიბადე, მაგრამ უფრო ხშირად მოსკოვის გარეუბანში ვიყავი ხოლმეო. ძალიან კარგი პიროვნებაა. ჩემთვის იმას არაფერი აკლდებოდა, ცაკალიდისი დენვერელი ყოფილიყო.

**— იგი სამი წელია, ნბა-შია, თუმცა საზაფხულო ლიგებში მაინც თამაშობენ. დღეს როგორ გაისარჯა?**

— მანაც ჩემსავით ცხრა ქულა ჩააგდო, თუმცა ნბა-ში ამხელა სტაჟის მქონეს, ვფიქრობ, მეტი უნდა გაეკეთებინა.

**— ცაკალიდისთან, ალბათ, ეპიზოდურად გიწევდა თამაში. შენი ოპონენტი ვინ იყო?**

— ფინიქსელთა სამი ნომერი, წლევანდელს დრაფტზე აყვანილი კეისი იაკობსენი. პირდაპირ ვიტყვი — ხელი არ გავანძრევინე. 25 წუთის განმავლობაში, რაც მოედანზე ვიყავი, იაკობსენს ბურთი არ ჩაუგდია. საბოლოოდ მის ანგარიშზე მხოლოდ ერთი ქულა იყო.

**— რა სიმაღლისაა იაკობსენი?**

— დაახლოებით ორ მეტრამდეა, მაგრამ ამით სისწრაფეში არავითარი უპირატესობა არ ჰქონია.

**— შენი ბენეტონელი მწვრთნელი ხომ არ განაწყენდა, მისი ამჟამინდელი გუნდის წევრი რომ დაჩაგრე?**

— არა, პირიქით. მისი დენვერის თამაშამდე არაფერი უთქვამს, მატჩის შემდეგ კი მოვიდა და მე და „დენვერის" ერთ-ერთი დირექტორი რესტორანში დაგვპატიჟა. ორივეს მეუღლე ახლდა და მანდილოსნებმა, იაპონურ რესტორანში წავიდეთო, აიჩემეს. რაც მე იქ გავწვალდი... მაგიდის სიდაბლეს რომ თავი დავანებოთ, ჩხირებმა გამტანჯა. აბა, ბრინჯიანი კერძის ჭამა წვრილი ჯოხებით როგორია, თუმც საღამო ლამაზი გამოვიდა.

**— რაზე ისაუბრეთ?**

— არაფერი საქმიანი, პირადული ამბები და სხვა თემები.

**— ტურნირს დავუბრუნდეთ. ალბათ მაგ ლიგას მოიგებთ, ორ შედარებით სუსტ მოწინააღმდეგესთან დაგრჩათ სათამაშო. თქვენი მატჩებით ტელევიზიაც დაინტერესდა...**

— „ფინიქსთან" მატჩი ტელეკომპანია ESPN-მა გადასცა, რაც დამატებითი სტიმული იყო ჩემთვის. დამატებითი სტიმული იქნებოდა ისიც, ვლადიმერ სტეფანიას წინააღმდეგ რომ მეთამაშა. იგი დღეს აქ ყოფილა და ჩვენს ზეგინდელ მეტოქე „მემფისის" ხელმძღვანელობას შეხვედრია. თუმცა, როგორც ჩანს, სტეფანია ამ გუნდში არ ითამაშებს და, მგონი, უკვე დატოვა სოლტ ლეიკ სიტი.

**— ერთმანეთს ვერ შეხვდით?**

— სტეფანია რომ აქ იყო, სხვებმა მითხრეს, მე არ მინახავს. ეტყობა, რაღაც საჩქარო საქმე ჰქონდა და უკან გაბრუნდა.

**— ბოლოს სოლტ ლეიკ სიტის განთქმულ მლაშე ტბაზე გკითხავ. თუ ნახე ამ ქალაქის მთავარი საოცრება?**

— ჩვენგან ეს ტბა მოშორებითაა, სხვებს ჯერ არ გამოუთქვამთ მისი მონახულების სურვილი. იქ მარტო წასვლა კი არ მინდა, ვნახოთ, დენვერში წასვლამდე ეგებ თანამგზავრი გამოჩნდეს.

**ირაკლი ბერტაია**



## ტურ დე ფრანსი 2002

# დარიო, მარიო, ჯუზეპე



REUTERS

ლენს არმსტრონგმა ტური დაიჩემა და დაითავისა

**როცა** აღმართ-დაღმართები ერთმანეთზეა გადაბმული, პელოტონიდან გაქცევას დიდი ვაჟკაცობა არ სჭირდება. მიზეზი მარტივია — არც აღმართებზე და არც დაღმართებზე ერთ ჯგუფად მავალ ველოსიპედისტთა რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს. აღმართზე — დაბალი სიჩქარის გამო, დაღმართზე — კი... ძალასა და გამძლეობას უფრო სიფრთხილე და კარგი მუხრუჭები ჯობს.

პელოტონს ოთხი მთა ჰქონდა გასავლელი. მთები სხვადასხვა სიმაღლისა და სხვადასხვა სირთულის იყო, მაგრამ ერთი საერთო მაინც ჰქონდათ. ყოველ მათგანზე ასვლისას ფილმი „ჯარისკაცის მამა" და „აქ პირველებმა გაიარეს ლეიტენანტ მახარაშვილის ტანკებმა" მახსენდებოდა. ოთხივე უღელტეხილს ტელევიზორის ეკრანზე ერთი და იგივე წარწერა ახლდა: „2000 წელს ამ მთაზე პირველი მარკო პანტანი იყო".

როგორც ჩანს, მარიო აერტსს ამ რეკორდის გამეორება ელო გულში. თუმცაღა, ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი კომპრომისით. ზედიზედ ოთხი მთის შუალედური ფინიშის მოგება გაცილებით ძნელია ძლიერ სპორტსმენთა კომპანიაში, რადგან საამისოდ ოთხჯერ უნდა აჯობო პირველობის არა ერთსა და ორ მსურველს.

ერთი სიტყვით, სამკაციანმა ჯგუფმა (მარიოს გარდა, დარიო ფრიგო და ჯუზეპე გუერინი) მშვიდობიანად გადალახა ოთხივე მთა (შუალედურ ფინიშებზე არც დარიოსა და არც ჯუზეპეს მარიოსთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ) და სპრინტერულ ფინიშზეღა გაარკვია ურთიერთობა. გამარჯვება იტალიელ დარიო ფრიგოს დარჩა.

და კიდევ ერთი. შარშანწინ პერსპექტიული სპორტსმენის სახელით დატოვა ტური კოლუმბიელმა სანტიაგო ბოტერომ. ამ ველომრბოლის პროგრესი რომ აშკარაა, მეჩვიდმეტე ეტაპმაც ცხადყო. უკანასკნელ მთაზე ბოტერო გამოეყო პელოტონს, უფრო სწორად, იმ სამ კაცს, ვინც სულ რაღაც წამებით იყვნენ წინ საერთო ჩათვლაში და იმას მიაღწია, რომ საერთო ჩათვლაში მეოთხე საფეხურზე მოთავსდა. თუ ბოლომდე არაფერი შეიცვალა და, ალბათ, ასეც იქნება, რადგან ინდივიდუალურ რბოლაში არმსტრონგის მძლეველს ალბათ აღარაფერი ემუქრება, სანტიაგო ბოტეროს სახით ტურს მომავლისთვის კიდევ ერთი საჩემპიონო პრეტენზიების მქონე სპორტსმენი დაემატება.

*გუშინ ჩემმა მკვობრებმა საყვედურებით ამავსეს. ყველაზე და ყველაფერზე წერ, არმსტრონგის გარდა. ამოდენა ჩემპიონისთვის ერთი პატარა პორტრეტი რა გახდაო. ჩემმა პროტესტმა — ძნელია იმ კაცზე წერა, რომელიც მთელი დღე პელოტონში ზისმეთქი, შედეგი ვერ გამოიღო. ასე რომ, იძულებული ვარ, შემოგთავაზოთ რამდენიმე სტრიქონი სათაურით:*

### მაყურებელთა თხოვნით

ოცდახუთი წლის ფეხბურთელზე არავინ იტყვის, პერსპექტიულიაო. ამ ასაკის მოცურავენი ან ტანმოვარჯიშენი ლამის ვეტერანებად არიან მონათლული. სრულიად განსხვავებული კრიტერიუმებია საგზატკეცილო ველორბოლებში. ეს განსაკუთრებით მრავალდღიანებზე ითქმის, სადაც ოცდახუთ წლამდე საჩემპიონო შედეგების ჩვენება თითქმის ასპროცენტიანი გარანტიაა იმისა, რომ სპორტსმენმა ვეღარასოდეს შეძლოს მსგავსი შედეგის გამეორებაც კი. რა თქმა უნდა, გამონაკლისები არის, მაგრამ ასეთივე გამონაკლისები არც ფეხბურთს აკლია, არც ცურვასა და ტანვარჯიშს.

თვითონაც მეჩოთირება, როცა ოცდაექვსი წლის ველომრბოლზე სიტყვა პერსპექტიულის ხმარება მიხდება ხოლმე, მაგრამ რას იზამ, როცა ოცი წლის ბიჭის განვითარებადაუმთავრებელი კუნთები და ძვლები ჯერ კიდევ ვერ გუობენ ხანგრძლივ დატვირთვებს.

იან ულრიხს ინდურაინზე არანაკლებ ბრწყინვალე კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. 1996 წელს ოცდასამი წლისა მეორე იყო ტურ დე ფრანსზე, 97-ში ჩემპიონი გახდა. მართალია, მოულოდნელად მაგრამ უკვე მაშინ გაისმა რამდენიმე ჭკვიანი მწვრთნელის გამაფრთხილებელი ხმა: ცოტა ნაადრევი ხომ არ არის 24 წლის ასაკში ტურის მოგება?

მკითხველს შევახსენებ, რომ ულრიხი დაიბადა და პირველი სპორტული ნათლობაც მიიღო როსტოკში. ეს ქალაქი ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე მდებარეობს. ახლა იმასაც თუ გავიხსენებთ, როგორი სპორტული სისტემა მოქმედებდა ამ ქვეყანაში, აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რატომ გაიარა ასე სწრაფად ველომრბოლად ჩამოყალიბების პროცესი ამ მართლაც უნიკალური მონაცემების მქონე ბიჭმა. მიმაჩნია, რომ აიან ულრიხი, ისევე, როგორც, ვთქვათ, რონალდო, სამუდამოდ თუ არა დიდი ხნით მაინც დაიკარგნენ დიდი სპორტისთვის. უფრო სწორად, ვილაც-ვილაცეებმა დაკარგეს შედეგების ფორსირებისა და ნიჭის უზომო, ხარბი ექსპლუატაციის შედეგად.

ცოტა არ იყოს, უხერხულია კაცზე თქვა: გაუმართლა ავადმყოფობა რომ შეეყარაო. ტურ დე ფრანსის სამგზის, ახლა უკვე ალბათ ოთხგზის ჩემპიონის ლენს არმსტრონგის მისამართით ამის თქმა, შესაძლოა, გამართლებულიც იყოს.

სანამ იმ, მძიმე სენს აღმოაჩენდნენ ექიმები, ლენსი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ინდივიდუალურ რბოლაში. ავადმყოფობის აპოლოგეტად, ცხადია, ვერ გამოვდგები, მაგრამ იძულებითმა სამწლიანმა შესვენებამ მაინც მგონია, რომ მომავალი ჩემპიონი უნებურად დაიცვა ზემოხსენებული ფორსირებებისა და ექსპლუატაციისგან. ავადმყოფობასთან ბრძოლამ ჩამოუყალიბებელი ბიჭის ხასიათიც გამოაწრთო და უკვე დაკაცებული მიადგა ყველაზე პრესტიჟული მრავალდღიანის კარს. ყველასთვის მოულოდნელად კარი საოცრად იოლად გაიღო.

ლენს არმსტრონგი ახლა რიგით მეოთხე ტურ დე ფრანსის უკანასკნელ სწორზეა გასული. დასრულდა მთის ეტაპები. მისმა ვერც ერთმა მეტოქემ ვერ შეძლო მისი ერთხელ მაინც დამარცხება. რთული გამოცდა არც დღეს, ინდივიდუალურ რბოლაში, ფაქტობრივად, მის საყვარელ საგანში ელის ამერიკელს. აქედან კი ხელის გაწვდენაზეა პარიზი...

ძნელი არ არის გამოიცნო, როგორ მოიქცევა ეს ქალაქი, როგორ დახვდება გამარჯვებულს. ალბათ ისე არა, როგორც ელბიდან გამოქცეულ ნაპოლეონ ბონაპარტს, მაგრამ ველორბოლების იმპერატორის ტიტული ტურის ოთხგზის ჩემპიონს ახლავე განაღდებული აქვს.


REUTERS

მე-17 ეტაპის მომგები დარიო ფრიგო

**ირაკლი ბერიაშვილი**

## ტექნიკური შედეგები

| | |
|---|---|
| **მე-17 ეტაპი. ეეი-ქლუზი. 142 კმ** | |
| 1. დარიო ფრიგო („ტაკონი სპორტსი", იტალია) | 4 სთ 02 წთ 27 წმ |
| 2. მარიო აერტსი („ლოტო", ბელგია) | იგივე დრო |
| 3. ჯუზეპე გუერინი („ტელეკომი", გერმანია) | +26 წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ლენს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | 72 სთ 50 წთ 25 წმ |
| 2. ხოსება ბელოკი („ონსე", ესპანეთი) | +5 წთ 06 წმ |
| 3. რაიმონდას რუმსასი („ლამპრე", ლიტვა) | +7 წთ 24 წმ |
| **მთის მეფე** | |
| 1. ლორან ჟალაბერი (CSC ტისკალი, საფრანგეთი) | 262 ქულა |
| 2. მარიო აერტსი („ლოტო", ბელგია) | 178 |
| 3. სანტიაგო ბოტერო („კელმე", კოლუმბია) | 162 |

# ანას კარანტინი გაუთავდა

## ნათელ-მირონი თავის გზას არ დაკარგავს



ანდრე აგასი

**ავსტრიის ღია პირველობა**
კიცბიუელი. თიხნარი
საპრიზო 880 ათასი $

**მესამე წრე**

**ალბერტ კოსტა** (1, ესპანეთი) — მიხაელ კოლმანი (გერმანია) 6:1, 6:1; **ხუან კარლოს ფერერო** (2, ესპანეთი) — მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) 7:5, 6:2; **ანდრეი პავლე** (4, რუმინეთი) — მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 6:3, 6:0; **მარიანო საბალეტა** (12, არგენტინა) — ნიკოლას ლაპენტი (5, ეკვადორი) 6:4, 6:2; **გასტონ გაუდიო** (6, არგენტინა) — შტეფან კუბეკი (11, ავსტრია) 3:6, 6:1, 6:0; **ალექს კორეჩა** (8, ესპანეთი) — ჟან-რენე ლინარი (საფრანგეთი) 6:3, 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა** (10, არგენტინა) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:0, 6:1; **ნიკოლა მასუ** (ჩილე) — ანდრე სა (ბრაზილია) 6:4, 6:3

ტიროლურ მთებში იმ დღეს ყომრალი ღრუბლიონი მოიქუფრა და სანამ კორტზე გასული ხალხი ჩოგნებს გააქნევდა, კათხისპირულად დასცხო კიდეც. მართალია, გაუთავებლად არ უთქეშია — ოთხი საათი წვიმდა, მაგრამ ისედაც გამჭვირვალე ჰაერი კიდევ უფრო დაახალასა და კორტსმობრუნებულ მობურთალებსაც სულ მთლად საუცხოო განწყობილება დაუკვება.

აბა, გართობა ეგეთი არ უნდაო და იქ ლიანგად მოკურორტე ესპანელებმაც ისე გაშმაგებით იჩოგნავეს, მეტოქეებისთვის ჯამში ერთი სეტიც არ დაუთმიათ. თავისი მეოთხე კიცბიუელური ტიტულის მაძიებელმა 27 წლის ალბერტ კოსტამ (1) გერმანელი მიხაელ კოლმანი 56 წუთში დაარბია, იქაურ გამარჯვებათა მონაგარი 25 შეხვედრაში 23 გამარჯვებამდე აიყვანა და მეოთხედფინალში მეჯვარესა და სიყრმის ძმაკაც ალექს კორეჩას (8) გადაეყრება.

კორეჩამ თავის მხრივ იოლად გაიარა წინა დღეს მარსელო რიოსის მოტარი ჟან-რენე ლინარი, ხოლო ხუან კარლოს კოლო-ფერერომ (2) ჰოლანდიელი მარტინ ვერკერკი დაჯაბნა.

კოსტა და კორეჩა ერთმანეთს აქამდე 13-ჯერ დატაკებიან და უპირატესობა ჯერ-ჯერობით მეჯვარის მხარეზეა — 7:6. თუკი ის სიძის დამარცხებას შეძლებს და მერე ნახევარფინალშიც გაპარპაშდება, საკარიეროდ 400 მოგებას დაიგულებს.

ერთი ეგაა, სიძე-მეჯვარის უკანასკნელი სამი შეხვედრიდან ყველა კოსტას გამარჯვებით გასრულდა. სულ ბოლოჯერ ისინი ერთმანეთს როლან გაროსის ნახევარფინალში გაედავენ.

დღის უმთავრეს მოულოდნელობად კი შარშანდელი ჩემპიონის, ფინალში სწორედ კოსტას მძლეველი ნიკოლას ლაპენტის (5) გაიმასხრება იქცა. ტიტულის დამცველს არგენტინელი მარიანო საბალეტა (12) მოერია.

საბალეტასთან ერთად მეოთხედფინალში კიდევ ორმა არგენტინელმა — ხუან იგნასიო ჩელამ (10) და გასტონ გაუდიომ (6) შეაღწია. ამათგან მეორემ მასპინძელთა უმთავრეს იმედს, მეთერთმეტე ნომრად განთესილ შტეფან კუბეკს მოუგო.

ასე რომ, ესპანელებსა და მათ ოკეანისგაღმელ ერთმოენეებს ბოლო რვეულში სამ-სამი ფალავანი ეყოლებათ. სათიხნარე ტურნირისთვის ეს დასტურ ჩვეული ვითარებაა.

**მერსედეს-ბენცის თასი**
ლოს ანჯელესი. პარდი
საპრიზო 400 ათასი $

**მეორე წრე**

**ანდრე აგასი** (2, აშშ) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:3, 6:1; **გუსტავო კუერტენი** (5, ბრაზილია) — მარტინ ლი (ბრიტანეთი) 7:5, 7:6 (7:5); **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:3, 6:3; **ჟან-მაიკლ გემბილი** (აშშ) — ნოამ ოკუნი (ისრაელი) 7:6 (7:2), 6:2

ტურნირის მთავარდავლათიანებმა (რაიც ჩვენებურად „მთავარქარიზმატულთა" შესატყვისი უნდა იყოს) — ანდრე აგასიმ (2) და გუსტავო კუერტენმა (5) თავიანთი სამეორწრეო შეხვედრებიც გამარჯვებით მოამთავრეს. ოღონდ, თუკი არმენოამერიკელმა ეს დამაჯერებლად და 54 წუთში გააკეთა, ბრაზილიელ ჯადომეთიხნარეს ორსავე სეტში მძაფრი და ხანგრძლივი ბულრაობა მოუხდა.

თუმცა ამათ შორის ამ ეტაპზე უმჯობესი მათ მეოთხედფინალურ შეხვედრაში გაირკვევა. ამ სტრიქონების წაკითხვისას თქვენ ვინძლო უკვე ამ მატჩის ანგარიში იცოდეთ, ამიტომ აქ მხოლოდ იმას გაუწყებთ, რომ მათი ათი აქამომდელი დაპირისპირებიდან 6-ში ამერიკელს უმარჯვია, 4-შიც, ცხადია, ბრაზილიელს.

სხვაფრივ — გერმანელმა ნიკოლას კიფერმა პირტიტველა ალექს ბოგომოლოვ-უმცროსზე ტომი ჰაასის (1) გაგდების გამო იყარა ჯავრი. კიფერისთვის, ვინაც „მერსედეს-ბენცის" თასზე პირველად გამოდის, ივნისიდან ნათამაშებ 12 შეხვედრაში ეს მეცხრე გამარჯვება იყო. არადა, სეზონის პირველ ნახევარში ამ არცთუ უნიჭო გერმანელმა ბიჭმა 20 მატჩიდან მხოლოდ 4-ის მოგება მოახერხა.

„ჰო, მართლაც საშინელება იყო — ამბობდა იმ დღეს — მთელი ექვსი თვის განმავლობაში წინა წელს მიღებულმა ტრავმებმა გამტანჯეს. საქმე წაღმა მხოლოდ ჰალეს წინასაუიმბლდონო ტურნირიდან წავიდა. იქ 4 შეხვედრის მოგება მოვახერხე და მივხვდი, რომ სააქაოს ვუბრუნდებოდი".

დღის უკანასკნელ შეხლაში ჟან-მაიკლ გემბილმა ებრაელთა უპირველეს მეჩოგნე ნოამ ოკუნს აჯობა და თავის ზედიზედ მესამე მეოთხედფინალში გააღწია.

**ჰოლანდიის ღია პირველობა**
სოპოტი. თიხნარი

**ვაჟები**
საპრიზო 381 ათასი $

**მეორე წრე**

**ატილა სავოლტი** (უნგრეთი) — ირჟი ნოვაკი (1, ჩეხეთი) 7:6 (9:7), 6:4; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — დომინიკ ჰრბატი (4, სლოვაკეთი) 6:2, 6:4; **მიხაილ იუჟნი** (7, რუსეთი) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 2:6, 6:0, 6:4; **იან ვაჩეკი** (8, ჩეხეთი) — ზელკო კრაიანი (ხორვატია) 1:6, 6:0, 6:3

**ქალები**
საპრიზო 300 ათასი $

**მეოთხედფინალები**

**ტატიანა გარბინი** (იტალია) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (3, ესპანეთი) 6:1, 6:1; **ჰენრიეტა ნაგიოვა** (6, სლოვაკეთი) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 7:5, 7:5; **დინარა საფინა** (რუსეთი) — მაგი სერნა (8, ესპანეთი) 6:1, 5:7, 6:3; **ვერა ზვონარევა** (რუსეთი) — ვირხინია რუანო-პასკუალი (ესპანეთი) 2:6, 6:4, 7:5

ფრანგ ფაბრის სანტოროს (3) გუშინ ტურნირის პირველოსანი, ჩეხი ირჟი ნოვაკიც მიაყოლეს. ამ მძიმე ამოცანის შესრულება მსოფლიოს 74-ე მეჩოგნემ, უნგრელმა ატილა სავოლტმა იკისრა.

ზეათეულის წარმომადგენელი ატილას აქამდე არასოდეს დაემარცხებინა და ამიტომ იყო, ნაამმატჩევს „კარიერის უდიდეს გამარჯვებაზე" რომ საუბრობდა. ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობისა და რომაული მასტერსტურნირის ნახევარფინალისტი ჩეხი კი იხტიბარს არ იტეხდა — თუმცა დავმარცხდი, დღეს უკეთესი ჩოგბურთი მაინც მე ვითამაშეო...

დღის მეორე მოულოდნელობად კი არგენტინელი ხოსე აკასუსოს მიერ ტურნირზე მეოთხე ჩოგნის მჭნეველი დომინიკ ჰრბატის გაბუნძურება იქცა. 19 წლის ხოსემ შარშანდელ ჩემპიონთა რბოლაში 36-ე ადგილზე გასული სლოვაკი თავიდანვე ალაგმა და ჩოგანი ბოლომდე არ აჰკანკალებია. ჰრბატი ნამატჩევს მოხიბლული ჩანდა, ეგ ბიჭი ამ ტურნირზე ჩემი ფავორიტი იქნებაო.

მას უძლიერესი მოწოდება აქვს, უშეცდომოდ თამაშობს უკანახაზიდან და თუკი არ გადაიღლება, მაგის მომგები აქ არავინ ჩანსო.

ვნახოთ, შავი და თეთრი მეოთხედფინალში გამოჩნდება.

რაც შეეხება ქალთა განყოფილებას, აქ ყველაზე მთავარი ამბავი ის იყო, რომ იტალიელმა ტატიანა გარბინმა სხვა ზეგანთესილთა გავარდნის შემდეგ ტურნირზე უპირველესად დარჩენილი არანჩა სანჩეს-ვიკარიო (3) აოტა.

**BANK OF THE WEST CLASSIC**
სტენფორდი. პარდი
საპრიზო 585 ათასი $

**მეორე წრე**

**ვინუს უილიამსი** (1, აშშ) — მეგან შონესი (აშშ) 6:4, 6:1; **ელენა იანკოვიჩი** (იუგოსლავია) — დაია ბედანოვა (7, ჩეხეთი) 7:6 (10:8), 2:6, 6:3; **ანა კურნიკოვა** (რუსეთი) — ვინე პრაკუსია (ინდონეზია) 7:5, 6:4; **ლაიზა რეიმონდი** (აშშ) — მარისა ირვინი (აშშ) 6:1, 6:4

ანა კურნიკოვას ზედიზედ ორი მატჩი მოეგოს, ასეთი უცნაურობა უკვე კარგა ხანია, არავის სმენია. კარგი ხანი კი არა და, დასტურ ოთხთვენახევარია, რუსი სექსმეჩოგნე ერთ ქეციან მეოთხედფინალშიც აღარ მოხვედრილიყო. ინდონეზიელი ვინე პრაკუსიას ძლევამ ანიკოს ეს, როგორც იქნა, შეაძლებინა.

სტენფორდში ყოველთვის კარგად ვთამაშობო, ხარობდა მერე. ფლორიდასთან შედარებით აქ არც ცხელა და საერთოდაც მაგრად ასწორებსო.

ვნახოთ, როგორ იელურტულებს იგი მეოთხედფინალური შეხვედრის მერე, რომელიც, უკეთუ დღევანდელ ნომერს ძალიან გვიან არ ეცნობით, მრავალი საათის მომთავრებული უნდა იყოს.

ამ მატჩში მას ტიტულებს მოწყურებული ვინუს უილიამსი (1) უნდა შეხვდოდა, ვინაც იმ დღეს თვისტომი მეგენ შონესი დაჩაგრა და, ვისაც ამელია აილენდის საპრილო ზეობიდან მოყოლებული ერთი ფინალიც აღარ მოუგია. ჰამბურგში ის კიმ კლაისტერსმა დააჩოქა, როლან გაროსისა და უიმბლდონის გადამწყვეტ შეხლებში კი უმცროსმა დაიკო სერენამ დაამხო.

ვინუსი და სექსანა ერთმანეთს აქამდე შვიდგზის გაპაექრებოდნენ და შვიდივე განდაგანა შავგოგოს გამარჯვებით გასრულებულა.

სხვაფრივ — თუკი ვინმე იუგოსლაველი ელენა იანკოვიჩის ვინაობით დაინტერესდებით, გაუწყებთ: იგი 17 წლისაა, მსოფლიოში 262-ე ჩოგანს აქნევს და მეოთხედფინალში ალბათ შარშანდელ ჩემპიონ კიმ კლაისტერსს შემოემარცხება.

**ლევან ძელაურაძე**



ანა კურნიკოვა



ნიკოლას ლაპენტი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლუისი ჩრდილიდან გამოდის

**ეს ხანებია,** სკოტი ბოუმენი დეტროიტს აღარ თავკაცობას. ლეგენდარული მწვრთნელი დეივ ლუისმა შეცვალა.

ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, როცა თასის მოგების შემდეგ ბოუმენმა განაცხადა, სამწვრთნელო კარიერას ვასრულებო, კლუბის მესვეურებს არ დაუმალავთ, რომ „დიდი სკოტის" მემკვიდრე გახდებოდა მისი ერთ-ერთი ასისტენტი. ასეც მოხდა. ამიერიდან გუნდს ლუისი და ბარი სმიტი დამოძღვრავენ. წლების განმავლობაში ერთი ბოუმენის მარჯვენა ხელი იყო, მეორე — მარცხენა. ეს სამეული განუყრელად აღიქმებოდა. ისე, მცოდნენი უპირატესობას სმიტს ანიჭებდნენ,ვინაიდან იგი უფრო აქტიურად მონაწილეობდა ტაქტიკური სქემების შემუშავებაში. ლუისი კი მეტწილად მცველებთან მუშაობდა, მაგრამ გუნდის ბოსებმა გუნდის საჭე სწორედ ლუის და არა სმიტს ადეს.

„ვგრძნობ, რომ სწორედ ლუისი გვჭირდება. ის უკეთ იცნობს გუნდს და მოთამაშეებს" — ასე განმარტა თავისი გადაწყვეტილება დეტროიტის გენერალურმა მენეჯერმა კენ ჰოლანდმა. ამბობენ, ლუისი სმიტზე ლმობიერი და მომთმენია და უკეთ იცის, როგორ უნდა იმუშაოს ვარსკვლავებთანო. იგი ძირძველი დეტროიტელია, თავისი 15-წლიანი კარიერის უმეტესი ნაწილი სწორედ „წითელფრთიანთათვის" შეუწირავს. 1987 წლიდან ერთგულად და პატიოსნად ასრულებდა მთავარი მწვრთნელის ასისტენტის მოვალეობას. უფროსებმაც ჩათვალეს, რომ დროა, ლუისი ჩრდილიდან გამოვიდეს და ხალხს აჩვენოს, ბოუმენის გვერდით მუშაობისას რა ისწავლა.

# კაცმა თავი ისახელა

**ნჰლ-ის** „პოლიციელთა" უმრავლესობას ცხოვრებაში რომ გადააწყდეთ, ვერც იცნობთ, სულ სხვაგვარი ყოფაქცევისა და ტემპერამენტის ხალხია, მშვიდი, გაწონასწორებული. ზოგი წიგნს წერს ბავშვებზე, ბევრი მათგანი ქველ საქმეს აკეთებს.

მაგრამ, თურმე ზოგი მათგანი ცხოვრებაშიც შფოთავს. მაგალითად ფლორიდის მთავარი პოლიციელი პიტერ უორელი გამოდგება. წლეულს მუქკანა ჰოკეისტმა ყველაზე მეტი იხზუბა ყინულზე და კანის შეფერილობის გამო ერთი-ორჯერ უსიამოვნო ისტორიაშიც გაება. ნაცნობ წრეებში მას ერთობ დამახასიათებელი მეტსახელი შეარქვეს — „მაიმუნი". და აი, „მაიმუნი" ყინულს გარეთაც გამოირჩა. ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა ფლორიდის შტატის საგზაო ინსპექტორის ოქმის ნაწყვეტი, სადაც ვკითხულობთ, რომ რამდენიმე დღის წინ, დილის 4 საათზე, ვინმე ჯეისონ გიორლანდის მანქანა „BMW"-ს „ფორდ მუსტანგი" დაეჯახა. დამნაშავემ მიმალვა სცადა ინციდენტის ადგილიდან. მას გიორლანდო გაეკიდა და საგზაო პოლიციის დახმარებით მოხერხდა, დასწეოდა. მდევართა გასაკვირად, „ფორდში" ყველასთვის კარგად ნაცნობი აყლაყუდა (198 სმ, 114 კგ) პიტერ უორელი აღმოჩნდა. „მაიმუნმა" არა მარტო უარი განაცხადა მანქანიდან გადასვლაზე, არამედ გიორლანდზე ფიზიკური ძალის გამოყენებაც სცადა. ხოლო როცა მას მოსთხოვეს, პოლიციის მანქანაში გადასულიყო, ისე გაცხარდა, წესრიგის დამცავთა „ჯიპის" უკანა კარი ფეხით ჩაამტვრია.

სპორტსმენის საქციელმა ფლორიდელები შოკში ჩააგდო, ვინაიდან მას ყინულსგარეთ მშვიდი და თვინიერი მოქალაქის რეპუტაცია ჰქონდა. უორელი ქველმოქმედი კაცია და საზოგადოება მას, როგორც პიროვნების სცემს პატივს. თუმც კანონი კანონია და ახლა მას ექვსთვიანი პატიმრობა ემუქრება, საჭესთან ჯდომა კი ერთი წლით აეკრძალა.

არ არის გამორიცხული, წარმოშობით კანადელ უორელს აშშ-ს ვიზაც ჩამოართვან ვინაიდან 1998 წელს იგი უკვე ამხილეს, მანქანას არაფხიზელ მდგომარეობაში მართავში.

**სამველ ღარიბიანი**

ფორმულა 1-ის 53-წლიან ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონობა 13 ქვეყნის 27 მრბოლმა მოიპოვა. გერმანელი მიხაელ შუმახერი, რომელმაც ერთი კვირის წინ მეხუთედ მოიხვეჭა ტიტული, ტრიუმფატორთა სიაში 24-ეა, რაკი პირველი გვირგვინი 1994 წელს დაიდგა. მის შემდეგ იყვნენ დეიმონ ჰილი, ჟაკ ვილნევი და მიკა ჰაკინენი.

სამეფო რბოლების პირველი ჩემპიონია იტალიელი ჯუზეპე „ნინო" ფარინა, რომელმაც მოწიფულ ასაკში, 44-ს მიტანებულმა იზეიმა თავისი ერთადერთი წარმატება.

1947 წლის ოქტომბერში ახალშექმნილმა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ (FIA) სპორტული ავტოები ძრავების მოცულობა-სიმძლავრის მიხედვით A, B და C კატეგორიებად დაყო და მსოფლიო პირველობების ჩატარებაც გადაწყდა. შემდეგ ასოები ციფრებით შეიცვალა და 1950 წელს უმძლავრესი კატეგორიის, ანუ ფორმულა 1-ის პირველი ჩემპიონატიც გაიმართა

# პირველად იყო ნინო



**ჯუზეპე „ნინო" ფარინა (იტალია)**

დაიბადა 1906 წლის 30 ოქტომბერს ტურინში
ფორმულა 1-ში ასპარეზობდა 1950-55 წლებში
მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონი
1952 წლის ვიცე-ჩემპიონი და 1953 წლის მესამე პრიზიორი
33 რბოლა; 5 მოგება; 20 (5+9+6) პოდიუმი; 5 პოული; 5 უსწრაფესი წრე; 127,33 ქულა
ასპარეზობდა გუნდებში: „ალფა რომეო", „ფერარი"
გარდაიცვალა 1966 წელს

**ფორმულის** სადებიუტო ჩემპიონატის კალენდარში ექვსი ევროპული ეტაპი იყო. მართალია, საერთო ჩათვლაში ინდიანაპოლისის (აშშ) 800-კილომეტრიანი სუპერმარათონის შედეგებიც ითვლებოდა, მაგრამ მხოლოდ სიმბოლურად, რადგან ევროპელი მეფორმულეები ოკეანის გაღმა სარბოლოდ არ მიდიოდნენ და არც განსხვავებული მანქანებით მოჯირითე ამერიკელები იწუხებდნენ თავს „ბებერ კონტინენტზე" სტუმრობით.

ზეისტორიული პირველი ჩემპიონატის პირველი ეტაპი, 1950 წლის 13 მაისს ინგლისში, სილვერსტოუნის ტრასაზე შედგა. სარბიელად სამხედრო აეროდრომის ტერიტორია გამოიყენეს. ასპარეზობას დიდი ბრიტანეთის მეფე გეორგ მეოთხე და დედოფალი დაესწრნენ.

ვიდრე ჩემპიონატის შედეგებზე ვისაუბრებდეთ, მოკლედ ვთქვათ იმდროინდელ სარბოლო პირობებზე. 50-იანი წლების პილოტთა პრიმიტიული ტექნიკა-აღჭურვილობა დღეს სიბრალულს იწვევს. ისინი პრაქტიკულად დაუცველნი დაქროდნენ 350 ცხენისძალიანი და 200 კმ/სთ სიჩქარიანი ურჩხულებით. 1500 კუბური სანტიმეტრის მოცულობის ტურბოძრავა მანქანის ცხვირში იდო, მუხრუჭები მთლად საიმედო ვერ იყო, ხოლო მძიმე საჭით ვიწრო მოტოციკლისნაირი საბურავებით ყოველი მოხვევისას კარგა გვარიანი ძალის დახარჯვა უხდებოდათ. ვერსად ნახავდით საგანგებოდ მოასფალტებულ ტრასებს, რის გამოც ჩვეულებრივ დათხრილ გზებზე უწევდათ ხრიგინი, მრბოლების სიცოცხლეს კი მოსახვევებში დალაგებული თივის ზვინები „იცავდა". რა გასაკვირია, თუ ასეთ ვითარებაში თითქმის ყოველწლიურად ორი-სამი მრბოლი იღუპებოდა.

„სილვერსტოუნზე" სადებიუტო რბოლის სტარტზე 21 ბოლიდი განლაგდა წინა დღეს კვალიფიკაციისას ნაჩვენები შედეგების შესაბამისად. პირველი პოულის მომგებ დოქტორ ჯუზეპე ფარინას („ალფა რომეო") გვერდით მისი თანაგუნდელები — ლუიჯი ფაჯიოლი და რეჯი პარნელი იდგნენ. აღსანიშნავია, რომ სამეული იმავე თანმიმდევრობით მივიდა ფინიშთან. თავიდან 53 წლის ფაჯიოლი გაიჭრა წინ, შემდეგ სალიდერო ბრძოლაში არგენტინელი ხუან მანუელ ფანხიოც ჩაერთო, მაგრამ ძრავამ უღალატა და ფინიშამდე ვერ მიაღწია.

უპირველესი ეტაპის გამარჯვებული გახდა ფარინა, რომლის „ალფეტამაც" 329-კილომეტრიანი დისტანცია ორ საათში, 13 წუთსა და 23 წამში დაძლია 155 კმ/სთ საშუალო სიჩქარით. სხვათა შორის, ეს „ალფა რომეო ტიპ 158" ერთ-ერთი იყო იმ შვიდი მანქანიდან, რომლებიც ჯერ კიდევ 30-იან წლებში მონაწილეობდნენ შეჯიბრებებში, მეორე მსოფლიო ომის დროს კი იტალიელებმა ყველის სახარშ ფაბრიკაში გადამალეს, ფაშისტებს რომ არ ჩავარდნოდათ ხელში.

ბრძოლაში მეორე, მონაკოური ეტაპიდან ჩაერთვნენ ენცო ფერარის სისხლისფერი ბედაურები. მომავალმა ორგზის ჩემპიონმა, იტალიელმა ალბერტო ასკარიმ მონტე კარლოს ქუჩებში მშვენივრად ირბოლა და მეორე ადგილზე გავიდა, მხოლოდ მომავალ ხუთგზის ჩემპიონ ფანხიოს ჩამორჩა.

მომდევნო რბოლა ისევ ფარინამ მოიგო, შემდეგ ორი ზედიზედ — ფანხიომ. ჩემპიონის ვინაობა დასკვნით მეექვსე ეტაპზე იტალიაში უნდა გარკვეულიყო. არგენტინელი „მაესტრო" იტალიელ „დოქტორზე" ოთხი ქულით იყო წინ და საჩემპიონოდ მესამე ადგილიც ყოფნიდა, მაგრამ გზის სულ რაღაც მესამედის გავლის შემდეგ მის „ალფას" სიჩქარეთა კოლოფი გაუფუჭდა. ფანხიო თანაგუნდელ ფელიჩე ბონეტოს მანქანაში გადაჯდა და ბრძოლა გააგრძელა, მაგრამ მაინც ვერ მიაღწია ფინიშამდე — ძრავა დაეწვა. იტალიის დიდი პრიზი და ჩემპიონობა ჯუზეპე ფარინამ მოიპოვა.

„დოქტორი" კიდევ ხუთი წელი უჯდა ფორმულის საჭეს, მაგრამ მსგავსი წარმატებისთვის აღარ მიუღწევია.

ფარინამ ერთხელ გაჩემპიონების მიუხედავად, წარუშლელი კვალი დატოვა ფორმულა 1-ის ისტორიაში. იგი ითვლებოდა „ჯენტლმენი-მრბოლის" მაგალითად, იყო მეტად კორექტული პიროვნება, თუმც ამასთან ცოტა გულცივიც. რბოლისას ძალიან ელეგანტურად გამოიყურებოდა — მანქანაში იჯდა თავისუფლად, უკან გადაწეული და არა კოლეგების მსგავსად საჭეს ჩაფრენილი. შეჯიბრებისას აზირებული ჩანდა, ხან თავქუდმოგლეჯილი მიქროდა მეტოქის გასასწრებად, ხანაც შუა გზაზე გაუჩერებია მანქანა, მაინც არაფერი გამოვაო. ტრასაზე ათასნაირი ფოკუსის მოგონება შეეძლო, რის გამოც ხშირად სტუმრობდა საავადმყოფოებს.

ფარინა დაიბადა 1906 წელს ტურინში. სარბოლო მანქანის (ორცილინდრიანი „ტემპერინო") საჭეს ცხრა წლის ასაკში მიუჯდა, პირველ ოფიციალურ შეჯიბრში მონაწილეობა კი 1925 წელს, სტუდენტობისას მიიღო. ტურინის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მიენიჭა პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი (აქედან მეტსახელი). პირველივე სამთო რბოლაში გარდა იმისა, რომ საკუთარ მამასთან დამარცხდა, თავისი „ალფა რომეოც" დალეწა და მხარიც მოიტეხა.

თავისთვის უხეირო (მეოთხე ადგილი) 1951 წლის სეზონის შემდეგ „დოქტორი" „ფერარიში" გადაბარგდა, მაგრამ ეს მცდარი ნაბიჯი აღმოჩნდა. რაკი გუნდში მეორეობას ვერ ურიგდებოდა, „წითლების" მაშინდელ ლიდერ ასკარისთან ერთთავად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, რაც, ცხადია, ვერაფერ ხეირს მოუტანდა. თანამემამულეთა კინკლაობა ერთხელ ლამის ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა.

1954 წელს, სპორტული მანქანებით გაჯირითების წინ, ვარჯიშისას, ჯუზეპე უმძიმეს ავარიაში მოჰყვა, დიდი დამწვრობა მიიღო და პრაქტიკულად მთელი სეზონი გაუცდა. მომდევნო წელს კი დაბრუნდა, მაგრამ მხოლოდ ნახევარი სეზონი გაძლო. ავარიის შემდეგ აუტანელი ტკივილები დასჩემდა, რასაც ვერავითარი წამალი ვერ უყუჩებდა. განსაკუთრებით უჭირდა რბოლისას მანქანაში ხანგრძლივი ჯდომის დროს.

სიცოცხლეც მანქანაში, მორიგი ავარიის შემდეგ დაასრულა, როცა საფრანგეთის ალპებში „ლოტუს-კორტინას" საჭე ვერ დაიმორჩილა და ტელეგრაფის ბოძს შეასკდა. მაშინ ჯუზეპე ფარინა 60 წლის იყო.

**გია ახალაძე**

**1950 წლის საუკეთესო ათეული**

| მრბოლი | ქვეყანა | გუნდი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჯუზეპე ფარინა | იტალია | ალფა რომეო | 8 | | 8 | 3 | | 8 | 30 |
| 2. ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | ალფა რომეო | | 8 | | 8 | 8 | | 27 |
| 3. ლუიჯი ფაჯიოლი | იტალია | ალფა რომეო | 6 | | 6 | 6 | 6 | 4 | 24 |
| 4. ლუი როსე | საფრანგეთი | ტელბოტი | 2 | | 4 | 4 | | 3 | 13 |
| 5. ალბერტო ასკარი | იტალია | ფერარი | | 6 | | 2 | | 3 | 11 |
| 6. პრინცი ბირა | ტაილანდი | მაზერატი | | 2 | 3 | | | | 5 |
| 7. რეჯ პარნელი | ინგლისი | ალფა რომეო | 4 | | | | | | 4 |
| ლუი შირონი | მონაკო | მაზერატი | | 4 | | | | | 4 |
| პიტერ უაიტჰედი | ინგლისი | ფერარი | | | | | 4 | | 4 |
| 10. დორინო სერაფინი | იტალია | ფერარი | | | | | | 3 | 3 |

რბოლების თანმიმდევრობა: დიდი ბრიტანეთი, მონაკო, შვეიცარია, ბელგია, საფრანგეთი, იტალია

ცხრილში არაა შეტანილი ინდიანაპოლისის (აშშ) 800-კილომეტრიანი ზემარათონის შედეგები.

რბოლაში ქულებს ხუთი საუკეთესო იღებდა — შესაბამისად 8, 6, 4, 3 და 2 ქულას. ერთ ქულას საუკეთესო წრის ავტორს აძლევდნენ. დასკვნით, მეექვსე რბოლაში ასკარიმ და სერაფინიმ სამეორეადგილო ექვსი ქულა გაიყვეს, რადგან მონაცვლეობით მართავდნენ ერთ მანქანას (იმ დროს მსგავსი რამ შესაძლო იყო) მრბოლებს ექვსიდან ოთხი საუკეთესო შედეგი ეთვლებოდათ

## F1

მეთორმეტე ეტაპი გერმანიის დიდი პრიზი

# ჰოკენჰაიმრინგი

ჰოკენჰაიმი, 28 ივლისი




**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . 4.574 კმ
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . 67 წრე — 306.458 კმ

რბოლა დაიწყება თბილისის დროით 17 საათზე

**შარშანდელი შედეგები:** 1 რ.შუმახერი (უილიამსი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 ვილნევი (BAR); 4 ფიზიკელა (ბენეტონი); 5 ბატონი (ბენეტონი); 6 ალეზი (პროსტი)

**წრის რეკორდი:** 2001 — მონტოია (უილიამსი) 1:41.808 (241,3კმ/სთ)

**შარშანდელი** რბოლის შემდეგ ჰოკენჰაიმის ავტოდრომს კაპიტალური რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. მთელს ფორმულაში ერთ-ერთი უგრძესი, თითქმის შვიდკილომეტრიანი ტრასა სასტარტო მონაკვეთის შემდეგ შორს, ტყეში იკარგებოდა და ცენტრალურ ტრიბუნაზე შეკრებილ მაყურებლებს კარგა ხანს უწევდათ მრბოლების ლოდინი. თანაც, ამსიგრძე გზის უმაღლეს დონეზე მოვლა-შენახვა არცთუ ადვილი იყო.

წრე მესამედით დამოკლდა, ამასთან ერთი-ორი ჩახლართული უბანიც გაჩნდა, სადაც, პროექტის ავტორ გერმან ტილკეს აზრით, გასწრების მშვენიერი საშუალება იქნება.

„უილიამსის" პილოტ ხუან პაბლო მონტოიას თქმით, განახლებულ „ჰოკენჰაიმრინგზე" ხვალინდელი რბოლა ყველასთვის ერთგვარი ავანტიურაა, არ იცი, რა გელის. ისიცაა სათქმელი, რომ ძველ, უმარტივესი პროფილის ტრასთან შედარებით, უმძლავრესძრავებიან ბოლიდებს აღარ ექნებათ აშკარა უპირატესობა.

„ფერარის" ხელმძღვანელობის განცხადებით, მიხაელ შუმახერის მიერ ჩემპიონობის ვადამდე მოპოვებით უმთავრესი წლევანდელი საკითხი მოვაგვარეთ, გუნდური პირველობაც თითქმის უკვე გარანტირებული გვაქვს და დარჩენილ რბოლებში ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა რუბენს ბარიკელომ ვიცე-ჩემპიონობას მიაღწიოს. ბრაზილიელს ამ საქმეში, ცხადია, მიხაელის აქტიური დახმარება ესაჭიროება, რაც მხოლოდ ტრასაზე წინ გაშვებას არ გულისხმობს, ყოველმხრივ უნდა შეავიწროვოს რუბინიოს კონკურენტები — მონტოია, რალფ შუმახერი, დევიდ კულტჰარდი.

გუშინ პირველ ოფიციალურ ვარჯიშზე საუკეთესო დრო ბარიკელოს ჰქონდა, მიხაელი ოდნავ ჩამორჩა. შესვენების შემდეგ, მეორე ცდაზე, სკუდერიელებმა ადგილები გაცვალეს. მომდევნო პოზიციებზე დადგნენ კიმი რაიკონენი და კულტჰარდი (ორივე „მაკლარენი"), რალფ შუმახერი, ედი ირვაინი („იაგუარი").

**წლევანდელთა გერმანული მონაგარი**

| | რბოლა | 92 | 93 | 94 | 95 | 96 | 97 | 98 | 99 | 00 | 01 | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ადგილი ჩასათვლელ ექვსეულში | | | | | | | | | | |
| მ. შუმახერი | 9 | III | II | გ | I | IV | II | V | | გ | გ | 31 |
| კულტჰარდი | 8 | | | გ | II | V | გ | II | V | III | გ | 20 |
| ბარიკელო | 9 | | გ | გ | გ | VI | გ | გ | გ | I | II | 17 |
| რ. შუმახერი | 5 | | | | | | V | VI | IV | - | I | 16 |
| ვილნევი | 6 | | | | | III | გ | III | გ | - | III | 12 |
| ირვაინი | 8 | | | გ | - | გ | გ | - | I | - | გ | 10 |
| სალო | 6 | | | | გ | - | გ | - | II | V | | 8 |
| პანი | 6 | | | II | გ | - | | - | VI | | - | 7 |
| ბატონი | 2 | | | | | | | | | IV | V | 5 |
| ფრენცენი | 7 | | | გ | გ | - | გ | - | III | გ | | 4 |
| ტრული | 5 | | | | | | IV | - | გ | - | გ | 3 |
| ფიზიკელა | 5 | | | | | | - | - | გ | გ | IV | 3 |
| დე ლა როსა | 3 | | | | | | | | გ | VI | გ | 1 |
| ჰაიდფელდი | 2 | | | | | | | | | გ | გ | 0 |
| მონტოია | 1 | | | | | | | | | | გ | 0 |
| რაიკონენი | 1 | | | | | | | | | | გ | 0 |
| ბერნოლდი | 1 | | | | | | | | | | - | 0 |
| იონგი | - | | | | | | | | | | | - |

შენიშვნა: გ — რბოლას გამოეთიშა;
ცხრილში არ არიან დებიუტანტები — სატო, მასა, მაკნიში, ვებერი




ხვალიდან მთელი „ფერარი" რუბენს ბარიკელოსთვის იმუშავებს

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა











# შეყრა იმპერიის გულში

როგორ გგონიათ, რამდენი შემოსაზღვრული კუთხე-კუნჭულია ამ ერთი ციდა დედამიწაზე, სადაც ინგლისური ენა პირველია? ინგლისურად მომეტყველე ქვეყნებს ამერიკის შტატები რომ გამოვაკლოთ, დიდი ბრიტანეთი ოთხ ერთეულად დავყოთ და საერთო თაიგულში გიბრალტარი, კუკის კუნძულები და სხვა პაწია მიწის ნაგლეჯები მივამატოთ, ჯამში მთელ 72 ქვეყანას მივიღებთ. მართალია, ლონდონს დაქვემდებარებულ ზოგ ასეთ ქვეყანაში ორი საფეხბურთო გუნდისთვის საკმარისი მამაკაცი არ სახლობს, მაგრამ ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებზე, ვინდაც ბრიტანიადაზე ყველას წარმოუგზავნია ერთი-ორიდან ერთი-ორ ასეულ სპორტსმენამდე. ყველა ესენი შუაგულ ინგლისში, მანჩესტერში შეიყარნენ და 25 ივლისს ბრიტანიადის საზეიმო გახსნაზე თავი წარმოაჩინეს.

და არა მარტო სპორტსმენები შეგროვდნენ მანჩესტერში. კი, დიდდოლის ძალუმად მცემელი კაცი ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი და ამისთვის გააზნაურებული მონიჩბე სტივ რედგრეივია, ხოლო გოგონასთან ჩამუხლული ვინცაა, ჩვენზე უკეთ იცით, მაგრამ აქ სხვებიც არიან. ბექჰემი რომ სითბოს უზიარებს, ის ნაზი არსება გულით ავადმყოფი გოგონაა. რა თქმა უნდა, შორიახლოსაა ბრიტანიმპერიის ფორმალური მმართველი დედოფალი, მისი უდიდებულესობა ელისაბედ მეორე. ამ ფოტოებზე დაბეჭდილთაგან მხოლოდ ერთი კაცის ვინაობას ვერ გეტყვით. ეს ღირსეული პირი, ალბათ სამეფო კარის დიდებულთაგანი, ერის დედას კიბეზე მიაცილებს.

# ბერლინთან ჩაიმუხლა



აწქვეყნად განა ყველას გაულევია ერთ ჯერზე ნაბიჯ-ნაბიჯ 25-კილომეტრა დისტანცია? ნაღდად არა. აი, ამ ჰოლანდიელმა ქალთევზამ ედიტ ვან დაიკმა კი ცურვით დაფარა ეს მანძილი ბერლინის მახლობელ პოცდამის პირად მოგუბულ ღია ტბაში. დაფარა და ჯანიანი გულ-მკერდი ევროპის ჩემპიონის მედლითაც დაიმშვენა. 25 კილომეტრის გაცურვა იოლი არ გეგონოთ, აგე, ჩემპიონსაც სადღაც შუა ტბაში ჩაუმუხლავს და ჭიქა წყალიც მაშინ მიუწოდებიათ.



# ჩვენი შემართების ვეზირი

აი, მუშტის ქნევაში განთქმული უკრაინელი ძმები ვიტალი (მარცხნივ) და ვლადიმირ კლიჩკოები. შუაში რომ ჩაუყენებიათ, ვიტალის ცოლი ნატალიაა. კლიჩკოთა შეყრის და პირის ფართოდ გახსნის მიზეზი, მათ ტორებში სათუთად დავანებული წიგნი ძმათა ერთობლივავტობიოგრაფიული ნათხზავია, სახელად კი დაახლოებით ეგეთი რამ აწერია — „ჩვენი შემართების ვეზირი".

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კალაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვედევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge